ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 52
(11 406)

4 – 6 ივლისი, 2000 წ.

ᲤᲐᲡᲘ 40 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ



ᲐᲡᲔ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲕᲘᲚᲢᲝᲠᲓᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲚᲘ...



ᲢᲠᲔᲖᲔᲒᲔ «ᲝᲥᲠᲝᲡ» ᲒᲝᲚᲡ ᲖᲔᲘᲛᲝᲑᲡ...

UEFA
EURO 2000
The Low Countries



ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ!

## XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲓᲐ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ – ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲬᲔᲕᲘᲐ!

ᲘᲮ. ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲢᲧᲘᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲡ – ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲔᲡ. ᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲤᲐᲜᲛᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲨᲐᲕᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ 16 ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ, 50-ᲛᲓᲔ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ.

### ᲡᲔᲝᲙ-Ი ᲛᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
GEORGIA

6 ივლისს, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის, 65), 12 საათზე გაიმართება პრესკონფერენცია, რომლის ძირითადი თემაა საქართველოს ოლიმპიური ნაკრებისა და დელეგაციის წინასაოლიმპიადო მზადების საკითხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

### ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ...

საქართველოს მხედრებს არც წარსულში და არც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაბრკოლებათა გადალახვაში არასდროს უასპარეზიათ საერთაშორისო არენაზე. ახლა ეს დროც დადგა. სომხეთის ცხენოსნობის ფედერაციის თაოსნობით ერევანში, საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით, 6-9 ივლისს ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასზე". საქართველოს ფედერაციამ (პრეზიდენტი თენგიზ აბულაძე) ყველაფერი გააკეთა ამ ტურნირში ქართველი მხედრების მონაწილეობისათვის. ჩვენგან იასპარეზებენ თბილისელები ზაზა კიკიანი, როინ მარგიანი, გიორგი სამხარაძე, ოთარ აბრამიძე, ზაზა ჩიტრიკაშვილი და, შესაძლებელია, ფოთელი გიორგი კოდუა.

### ᲐᲨᲨ-ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ: ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

გლაზგოში გაიმართა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. აქ კიდევ ერთი მარცხი იწვნია მსოფლიო რეკორდსმენმა სპრინტში გრინმა, რომელსაც 100 მ. რბენაში აჯობა ინგლისელმა გრავერმა – 10,40. თარჯრბენში 110 მეტრზე რბენაში კვლავ დაადასტურა თავისი სიძლიერე მსოფლიო რეკორდსმენმა ჯენსონმა.

გუნდური პირველობა მოიგო ამერიკელთა ნაკრებმა 180:171.







ᲐᲛ ᲠᲘᲒᲣᲚᲛᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲐ!

SYDNEY 2000

# ოლიმპიურ თამაშებს 73 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

# ქუთაისელის განცხადებები

*მადლობა ცკოგნიტო ავტორს, რომელიც აშკარად ჩანს, რომ თავისი ქვეყნისა და ქართული სპორტის დიდი პატრიოტია და სარკაზმულად მიგვანიშნებს იმ მანკიერებებზე, რაც ჩვენი ცხოვრების თანმდევი გახდა, და გვესირცხვილება კიდეც. თუმცა, უმეტესი განცხადება კეთილი სურვილების შემცველია. იქნებ ვინმეს ენიშნოს და შეახსენოს, ქართული სპორტი ზოგადქართული ფენომენია და მისი ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცებაზე საქმით ზრუნვა ყველას პატრიოტული მოვალეობაა.*

● **აშშ-მა** გადაწყვიტა სახელმწიფოს ბიუჯეტის ასეულობით მილიარდი დოლარის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე საქართველოს სპორტს გამოუყოს რამდენიმე მილიონი დოლარი სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ოლიმპიელების მონაწილეობის დასაფინანსებლად.

ამერიკის მხარე გრანტის ათვისებისათვის ჩაატარებს ტენდერს. საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად, გამარჯვებისათვის მთავარი მოთხოვნაა გამოყოფილი ფულის უკვალოდ გაუჩინარების ყველაზე ეფექტური პროგრამის წარდგენა. ტენდერში სპორტის სფეროს მუშაკები არ დაიშვებიან.

● **შეიქმნა** „შეჯიბრებების წინ შეკრებების ჩატარების საქართველოს ფონდი". ფონდს ორი ამოცანა აქვს: მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ეს ტრადიცია და ხელი შეუწყოს სპორტსმენთა დაოსტატება-წარმატებებს.

ფონდი დააფუძნეს საშუალო ბიზნესის (მსხვილი ბიზნესმენების ჯიბრზე) წარმომადგენლებმა.

მისამართი გასაიდუმლოებულია, მაგრამ შეგიძლიათ შეიტყოთ მხოლოდ იმათგან, ვინც უკვე ისარგებლა ფონდის სიკეთით.

### ქართული ალპინიზმის გზა...

# ზესწრაფვიდან ნირვანის საფრთხემდე



**საქართველოში მძვინვარე ანარქიის მსახვრალი ტალღა ერთ დროს დიდებით მოსილ ქართულ ალპინიზმსაც გადასწვდა! მას აღდგინება სჭირდება!**

## ამირანისა და მეფე-ქალის სამყოფელო...

**საქართველო** მთიანი ქვეყანაა; აქედან გამომდინარე ქართველი კაცისთვის მწვერვალების დასაპყრობად სწრაფვა ისევე უძველესი „ხელობაა", როგორც თვით მოდგმა ადამისა, როგორც ცას შეყუდებული კავკასიონი და პამირი, ტიან-შანი, ყარაყორუმი და ჰიმალაები. სხვანიც, მრავალნი...

მთიანი ქვეყანაა-მეთქი, მამული ჩვენი: მის ფარგლებში მდებარეობს ხსენებული კავკასიონის ცენტრალური ნაწილი.

... მთის შვილები „სხვა ხალხია" — დასაბამითვე გაქცევიათ თვალები „ზევით:"

მისმა მდიდარმა მითოლოგიამ ჯერ ამირანი მიაჯაჭვა მაღალ კავკასიონს; მერე თამარის ლეგენდა დაუკავშირა მას!..

**დვალეთელი თვისტომის ნაამბობიდან:**

„— თქვენ, ბარელებმა რა იცით მთისა?!.

მოწმენდილ ამინდში ქართლის ველიდან ჩრდილოეთის მხარეს კავკასიონის მარადთოვლიან მწვერვალთა რიგში კარგად მოჩანს არწივისმაგვარი მწვერვალი.

ეს ბრუტსაბძელაა, რომელსაც აგრეთვე იალბუზსაც ეძახიან.

იგი ნამდვილ იალბუზზე (5.642) ბევრად დაბალია (3.670 მ.).

... ჩვენთან, არდონის ხეობაში მცხოვრებთ მტკიცედ სწამთ წინაპართა გადმონაცემი:

თამარ-მეფის სიკვდილისწინა ბრძანებით, მისმა უერთგულესმა მცველებმა მისივ ცხედარი იმ ბრუტსაბძელაზე აიტანეს და არდონის ხეობისანი სდარაჯობენო მეფე-მზის გვამის, ხელშეუხებლობას საუკუნეთა განმავლობაში.

მეტიც: ცისკრის ჟამს ამობრწყინებული ვარსკვლავის სხივზე მომნუსხველად ელვარებს არწივის მიერ იქ ატანილი ოქროს კოში მეფე-თამარისა, რომელსაც ჩვენ, დვალეთელი ქართველები დღენიადაგ ვესალმებით — ვით თამარის ნათელს!"...

●

... **საუკუნეთა** ფრთებზე გადმოტარებული ქართული ალპინიზმის რენესანსი ჭეშმარიტად XX საუკუნის პირველ ნახევარში დამდგარა: საყოველთაო რეზონანსით განფენილა გიორგი ნიკოლაძის ავტორიტეტი. მას თან მოჰყოლია სიმონ, ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეების, ბექნუ და მიხეილ ხერგიანების, ქელეშბი ონიანის და სხვათა სახელები.

... 1936 წელს საქართველოში დაარსებული ალპური კლუბი. მსოფლიოს ალპურ კლუბთა ხუთეულში შესულა! იგი ალიოშა ჯაფარიძის დიდი ძალისხმევით ჩამოყალიბებულა, რასაც თან დართვია შესაბამისი პროცესი — დაოსტატების მუდმივი ზრდის აუცილებლობა, ძიების, შეტევისა და გამარჯვებათა მთელი სერიალები.

შემდგომ კი წამოვიდნენ მოსიმაღლე დამპყრობთა საუკეთესო ახალგაზრდა თაობები — ჯუმბერ მეძმარიაშვილი და იოსებ კახიანი, ილია გაბლიანი და თემურ კუხიანიძე, ხაზარაძეები და ახვლედიანები, სხვანიც, უამრავი — სახელოვანი მოიერიშეები; რომელთაც სხვადასხვა დროსშეძლეს ფეხი დაედგათ კავკასიონის, პამირის, ყარა-ყორუმის ჯერ გაუვლელ მწვერვალებზე — პირდაპირ თუ ტრავერსით.

●

**ალპინისტს** ყველაზე მეტად სჭირდება... სპორტული ფსიქოლოგია, რამეთუ მას არ ჰყავს მაყურებელი, ვინც ტაშს უკრავს და ზესვლისკენ აქეზებს; სჭირდება მორალური სიმტკიცე, რადგან მთა მრისხანეა თავისი სიმაღლით, და, მიუხედავად ტექნიკისა და ტაქტიკის ცოდნისა, უმცირეს შეცდომასაც არ ჰპატიობს მას; მთამსვლელს, ისე ვით არავის — უნდა ჰქონდეს დიდი გული და გატანის ნიჭი; იგი რაინდი უნდა იყოს მთელი არსით.

... ალპინისტობა თავდაცვითი სპორტიცაა...

ასეთები რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ, არ იქნებოდა იმდენი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები; ასეთები რომ არა, არც ამდენი სერთიფიკატი დაუგროვდებოდათ საქართველოს ალპინისტთა სკოლის მთელ თაობებს...

არც უბედობა დაკლებია: იყო მსხვერპლიც — ბევრი და ძვირფასნი... ოღონდ — სასოწარკვეთის გარეშე.

ეს — წარსულია!
მას გუშინდლობა ჰქვია!

## დღეს...

... **1992 წლის** იანვარში დაწყებული დაღმასვლა მთელი ქვეყნისა, გაგრძელდა მომდევნო წლებში — დღემდე!

ვიმეორებ:

საქართველოში მოაქაჟამომდე მძვინვარე ანარქიის მსახვრალი ხელი შეეხო ქართულ ალპინიზმსაც.

... დაცარიელებული ოთახები, გაპარტახებული საწყობი, გაშიშვლებული კედლები,. აყრილ-აფუნგული პარკეტი; საქაღალდეებში შექუჩებულ და ჩაკარგულ სიგელთა დასტები — დასტური, სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ოდინდელი ბრწყინვალე გამარჯვებებისა.

... 1972 წლამდე 28 საშტატო ერთეულით ყოფილა დაკომპლექსებული ალპური კლუბი.

დაფინანსების შემცირებასთან ერთად, თანამშრომელთა ოდენობაც შემცირებულა.

დღეს სამამდეა დასული: ალპური კლუბის დირექტორი გიორგი საჯაია; ორი ინსტრუქტორ-მეთოდისტი — ემზარ ალავერდაშვილი და მურაზ თექთუმანიძე — ასევე ორიოდე ტექნიკური პერსონალით!

**გიორგი საჯაია:**

— ჩათვალეთ, რომ ვართ გამოუვალ მდგომარეობაში.

ადრე ვიყავით ცენტრალურ დაფინანსებაზე. თითქმის 10 წელია აღარავინ გვაფინანსებს. არადა, ამხელა ოფისს თავისი ხარჯები აქვს, ხომ? გადავწყვიტეთ გაგვექირავებინა ფართი. ასეც მოვიქეცით, შემოსული თანხით ჩვენ ვაფინანსებდით პატარ-პატარა ექსპედიციებს და შემორჩენილ თანამშრომლებს ვუხდიდით ხელფასს. ახალი კანონით გადაგვიყვანეს შპს-ს კატეგორიაში.

იხ. მე-7 გვ.

### მილოცვა

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ თანაკურსელს, ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს ***დავით კვინიკაძეს.***



## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!



8-23 ივლისს ლ. მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე (მარჯანიშვილის, 29) ტარდება პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები „ჯეოსელის" თასზე. აკრედიტაციის მსურველებს ვთხოვთ მოგვმართონ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში 6 ივლისამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია**

### ჩოგბურთი | სოლომონ თუხარელის ხსოვნის ღია ტურნირი



„ლელოს" წინა ნომერში გაგაცანით ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორების უმეტესობა. მეორე დღეს, კიდევ რამდენიმე საფინალო და მესამე პრიზიორის გამოსავლენი შეხვედრა ჩატარდა. გაგაცნობთ შედეგებს. ***გოგონები. 1986-87 წლებში დაბადებულთა ფინალი:*** ელენე დალაქიშვილმა აჯობა ელენე ჰკუასელს, 1988-89 წლიანებში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო კალმახელიძე, 2. მარია კალაშნიკოვა, 3. სოფიკო ქვაცახია (აჯობა ნინო ლაგვილავას). ***ბიჭები. 1984-85 წლიანთა ფინალში*** ზურაბ ქვანიამ აჯობა იური ხომერიკს, ***1990-91 წლიანებში*** გოგი ვანიშვილ-ნუგზარ ბაგაურის შეხვედრაში იმარჯვა ვანიშვილმა, მესამე ადგილისთვის კი რეზო ოსაძემ სძლია გოგი ტატუნაშვილს.

*სპორტული ნარდი*

## ცხრაკაციანი ნაკრებით მივემგზავრებით...



ნარდის თამაშის ფარულმა ტრადიციამ, მას შემდეგ, რაც სპორტის ეს სახეობა ლეგალური გახდა, ბევრი ნიჭიერი მოთამაშე წარმოაჩინა და გზა გაუხსნა საერთაშორისო ტურნირებში. თავის დროზე ახალდაფუძნებულ ნარდის ეროვნული ფედერაცია სადღეისოდ უკვე 10 წელს მოითვლის და ამ ხნის განმავლობაში შინ თუ გარეთ უამრავ შეჯიბრებებში უსახელებიათ თავი საქართველოს მონარდეებს.

სულ მალე, 9-15 ივლისს სამორინეთა მექაში მონტე-კარლოში მსოფლიოს წლევანდელი პირველობა ჩატარდება, მაგრამ მანამდე, ჩვენები, 6-8 ივლისს ვენეციის ოლიმპიადაში მოსინჯავენ ძალებს, ტურნეს კი დაამთავრებენ დიდი საერთაშორისო ტურნირით, რომელსაც 16-19 ივლისს ნიცა უმასპინძლებს. აი, ასეთი მნიშვნელოვანი ასპარეზობების წინ 1-2 ივლისს გაიმართა თბილისისა და საქართველოს უძლიერეს მონარდეთა ტურნირი, რომელიც ნაკრების წევრთა ძალების შემოწმების ბოლო ეტაპი იყო.

მოგეხსენებათ, სამაგიდო თამაშებს არ ესაჭიროება საგანგებოდ მოწყობილი სპორტული ბაზა, მაგრამ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს (გნებავთ, ავტორიტეტის თვალსაზრისით) თუ სად იმართება ტურნირი. ამჯერად შეჯიბრება გაიმართა „ნარდის" მოყვარულთა კლუბ 2000-ში, რომლის შტაბსადგომი თბილისში ფოსტა-ტელეგრაფის (რუსთაველის, 31) საზოგადოებრივი კვების ობიექტის I სართულზეა ამ ადგილის გამოყოფაში დიდია შპს „გემოს" ხელმძღვანელობის და პირადად ამირან ჩიკვილაძის წვლილი. სანაქებო მასპინძლობამ და იქაურმა ატმოსფერომ, მოასპარეზეებს კარგი გუნება-განწყობა შეუქმნა. პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა მამუკა გუგეშაშვილმა, მეორე იყო მისი თანაგუნდელი თამაზ გიორგობიანი, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ქუთაისელმა ნუგზარ ჩხიკვაძემ და თბილისელმა გურამ გორდელაძემ.

დავძენთ, რომ ზემოხსენებული ნარდის მოყვარულთა კლუბი შეიქმნა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს (უფროსი ვლადიმერ კანკავა) მოწადინებით, კლუბს კი სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი სპორტსმენი თემურ ქურციკიძე. სპორტის სამმართველო და კლუბის ხელმძღვანელობა საგანგებოდ აღნიშნავს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში შპს „გემოს" და მისი თავკაცების დამსახურებას.

სხვათა შორის, ფოსტა-ტელეგრაფის I სართულზე მდებარე საზკვების დარბაზის განთავსებულ კლუბში, ნებისმიერ დროს, ნარდის ნებისმიერ მოყვარულს შეუძლია აიმაღლოს ოსტატობა, ყოველ შაბათს და კვირას კი 14 საათიდან მინიატურების ციკლი ტარდება. გათვალისწინებულია შემსწავლელი ჯგუფების გახსნაც.

და ბოლოს, გაგაცნობთ მათ ვინაობას, ვინც ამ თვეში, ზემოაღნიშნულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში საქართველოს ნაკრებში იასპარეზებს. ესენი არიან: არჩილ ოდიშარია (მეცნიერ-მუშაკი, თბილისის წლევანდელი ჩემპიონი), ნოდარ მელია („დინამოს" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მრავალ ტურნირებში გამარჯვებული), დავით გურგენიძე (საქ. სპ. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე), აკაკი კიკალეიშვილი (საქ. ნარდის ფედ. პრეზიდენტი), ხვიჩა კურტანიძე, ლაშა კიკვაძე, გოჩა მაღალთაძე, ემზარ ლაითაძე (ყველა — ინჟინერი), ლაითაძის გარდა ნაკრების ყველა წევრი თბილისიდანაა.

**სააგენტო „ბუმათე"**



*სურათებზე: ზევით — საქართველოს ნაკრების წევრთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): გოჩა მაღალთაძე, ოთარ მელია, არჩილ ოდიშარია, კახა ნაჭყებია.*

*ქვევით: თამაშობენ ნუკრი ძნელაძე და ომარ ბახტაძე.*

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატარეზემ არჩევნები წააგო



*ნორვეგიელი პერ რავნ ომდალი (მარჯვნივ), რომელიც საქართველოს ხშირი სტუმარია, კვლავ აირჩიეს უეფას აღმასკომის წევრად. მარცხნივ — მერაბ ჟორდანია.*

„ლელოს“ წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ამ დღეებში უეფას წევრთა დიდი თავყრილობაა მოსალოდნელი ლუქსემბურგში უეფას 25-ე კონგრესზე. ამასთან დაკავშირებით, გუშინ ინტერნეტით შემდეგი ინფორმაცია გავრცელდა:

„ლუქსემბურგში უეფას კონგრესის მორიგი სხდომა გაიმართა, რომლის დღის წესრიგის მთავარი საკითხი ***აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა*** არჩევნები გახლდათ. შვიდ ვაკანტურ ადგილზე თერთმეტი კანდიდატი იყო. კენჭისყრა მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა. სახელდობრ, მარცხი განიცადა უეფას ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ. კენჭისყრის სრული შედეგები ასე გამოიყურება:

***მარიოს ლეფკარიტისი (კვიპროსი) – 42 ხმა***
***გერჰარდ მიოლერ-ვოლფარტი (გერმანია) – 40***
***ჟიუ სპრენგერსი (ჰოლანდია) – 39***
***პერ რავნ ომდალი (ნორვეგია) – 38***
***კლოდ სიმონე (საფრანგეთი) – 31***
***ჯეფ ტომპსონი (ინგლისი) – 29***
***ჯოზეფ მიფსუდი (მალტა) – 26***
ანტონიო მატარეზე (იტალია) — 25
პეკა ჰიამიალაინენი (ფინეთი) — 15
მირჩა სანდუ (რუმინეთი) — 15
დან ტანა (იუგოსლავია) — 14

ამრიგად, მატარეზემ, ჰიამიალაინენმა, სანდუმ და ტანამ დაკარგეს ადგილი აღმასკომში.

ამავე დროს გაიმართა ***ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებიც***, სადაც ევროპას ოთხი ადგილი გამოუყვეს. აი, საბოლოო შედეგები:
ანხელ ვილარ ლიონა (ესპანეთი) — 44
მიშელ დე ოგი (ბელგია) — 41
სენეშ ერზიკი (თურქეთი) — 34
ვიაჩესლავ კოლოსკოვი (რუსეთი) — 28.

უეფას კონგრესში მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებიც — პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. სფფ-ს თავკაცთა ევროპული ვოიაჟი ამით არ დასრულებულა — დღეს ისინი ფრანკფურტს ჩავიდნენ, სადაც შეხვდებიან გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს.

## მარტო კლასით თავმოწონება გუშინდელი დღეა...

*მორჩა, ევროპის ჩემპიონატიც მიილია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში „ცხადია, მცირე ხნით, „მკვდარი სეზონი“ დაიწყო. ფეხბურთელებისა არ იყოს, გულშემატკივრებსაც ერთგვარი სულის მოთქმის საშუალება ეძლევათ, მაგრამ გავა ორიოდე კვირა და ისინი კვლავ მიუსხდებიან ტელეეკრანებს, ისევ უძილო ღამეები, ისევ გაუთავებელი სჯა-ბაასი ფეხბურთის ამა თუ იმ საკითხზე (სალაპარაკოს რა დალევს). თუ ქრონოლოგიურად მივუდგებით, ჩვენი უახლოესი საზრუნავი ევროპის საკლუბო ტურნირებია, სადაც წლეულს ქართულ ფეხბურთს სამი კლუბი წარმოადგენს — ჩემპიონთა ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქეა იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“, ხოლო უეფას თასზე თბილისის „ლოკომოტივი“ და „ვიტ-ჯორჯია“ ეპაექრებიან შესაბამისად სლოვაკეთის „სლოვანს“ და ისრაელის „ბეითარს“. მაგრამ დამეთანხმებით, ალბათ, ქართველი გულშემატკივრის მზერა მაინც შემოდგომისკენაა მიპყრობილი, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში ჩაერთვება. ტრადიციულად, ევროპა შესარჩევ ციკლს 9 ჯგუფით იწყებს. მართალია, ფეხბურთში პროგნოზების გაკეთება დღეს განსაკუთრებით სარისკო საქმეა (თამაში ყველამ ისწავლა, ნაკრები გუნდების დონე მეტ-ნაკლებად გათანაბრდა), შევეცდებით ერთგვარად მიმოვიხილოთ ძალთა განლაგება თითოეულ ჯგუფში. ცხადია, ჩვენი საუბარი მერვე ჯგუფიდან დაიწყება, სადაც კენჭისყრამ საქართველოს ეროვნულ გუნდს მეტოქეებად იტალიის, რუმინეთის, ლიტვისა და უნგრეთის ნაკრებები არგუნა.*



ყიფიანი-ძოძუაშვილის ფიქრი და მზერა იაპონია-კორეისკენაა მიმართული

როცა შარშან, დეკემბერში ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა ჩატარდა, ფიფამ, ტრადიციისამებრ, ჯგუფში ერთად მოხვედრილ ნაკრებ გუნდებს მიმართა თხოვნით — შეიკრიბეთ და თავად შეადგინეთ მატჩების ჩატარების განრიგიო. ასეც მოხდა, რვა ჯგუფში ამ პროცედურამ უმტკივნეულოდ ჩაიარა და მხოლოდ ერთში, იქ, სადაც საქართველო იყო, შეთანხმება ვერ შედგა.

„აქილევსის ქუსლად“ იქცა ის გარემოება, რომ არც ერთ ქვეყანას არ სურდა ბოლო ტურში თავისუფალი ყოფილიყო თამაშისაგან. ბოლოს და ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა ფიფას მოხელეებმა კენჭი ყარეს და ასეთ უიღბლო გუნდად ლიტვა გამოდგა.

**მეორე ჯგუფში** ერთი უპირობო ფავორიტია — იტალია. ვფიქრობ, უხერხულიცაა ამ საფეხბურთო გრანდის უწინდელ დამსახურებებზე ლაპარაკი. იტალია იტალიაა და ამის დასტური გუშინწინ დამთავრებული ევროპის ჩემპიონატიცაა. დინო ძოფი დიდი მეკარე იყო, დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი დიდი მწვრთნელიცაა. როცა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან ჩეზარე მალდინი გაანთავისუფლეს და დაიწყს „სკუადრა აძურას“ ახალი მწვრთნელის შერჩევა, კანდიდატებად ბევრი ავტორიტეტული სპეციალისტი დასახელდა: ჯოვანი ტრაპატონი, მარჩელო ლიპიო, დინო ძოფი...

და ბოლოს, დიდი ბჭობის შემდეგ — დინო ძოფი! იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ამ გადაწყვეტილებამ არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია. სკეპტიკოსები თვლიდნენ, წარსულში სახელოვან მეკარეს არ გააჩნია იმდენი ცოდნა და გამოცდილება, რომ „სკუადრა აძურაში“ გადამჭრელი რეფორმები ჩაატაროს. იტალიელთა საბედნიეროდ, ძოფმა ეს შეძლო. არ ვიცით, ვინ როგორ თვლის, მაგრამ სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ — დღევანდელი იტალიის ნაკრები სჯობს 1982 წლისას, როცა ეს კოლექტივი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ასეთ დაბალანსებულ, შეთამაშებულ, იმპროვიზატორთა მთელი კოჰორტით შედგენილ გუნდს ყველა ინატრებს! მაინც, რაშია აპენინელთა მთავარი სიძლიერე? ვფიქრობთ, არ შევცდებით — საქმისადმი ნამდვილი პროფესიულ მიდგომაშია იტალიელთა ძირითადი ღირსება: ყველა თავის საქმეს პირნათლად ასრულებს, მწვრთნელიც, მასაჟისტიც, ფეხბურთელიც. გაიხსენეთ, როგორი დამქანცველი გამოდგა წლევანდელი „კალჩიო“ (იტალიის ჩემპიონატი) — სკუდეტოს მფლობელი მხოლოდ ბოლო ტურში გაირკვა. ნაკრების ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად მხოლოდ ერთი კვირა ჰქონდათ და მიუხედავად ამისა, ძოფმა კოვერჩიანოში (ნაკრების ბაზა) ყველა მოთამაშე სრულფასოვან მზადყოფნაში ჩაიბარა (ისე კი არა, ზოგიერთი ქართველი ფეხბურთელი რომ ცხადდება საქართველოს ეროვნული გუნდის შეკრებაზე — ზედმეტი წონით, უვარჯიშებელი, ტრავმამოუშუშებელი). მწვრთნელს ისღა დარჩენია მხოლოდ თავის უშუალო მოვალეობებზე იფიქროს — გუნდის სათამაშო სტრატეგიაზე, ტაქტიკაზე. ამ ამოცანას, როგორც აღვნიშნეთ, მწვრთნელმა წარმატებით გაართვა თავი.

**მერვე შესარჩევ ჯგუფში** სათამაშო კალენდარი იმგვარადაა შერჩეული, რომ ფავორიტები, საქართველოსგან განსხვავებით, პირველივე ტურიდან ებმებიან საქმეში:

***იხ. მე-4 გვ.***

## ინტერტოტოს თასი

UEFA INTERTOTO CUP

II ეტაპი, პირველი მატჩები
1-2 ივლისი

ზენიტი – პრიმორიე 3-0
უნისპორი – ზალცბურგი 2-6
პერუჯა – სტანდარდი 1-2
სალამინა – აუსტრია 1-0
სტაბეკი – ოსერი 0-2
ლინცერი – დუკლა 1-1
სედანი – ლეიფტური 3-0
მალიორკა – ჩახლაული 2-1
ბლშანი – დნეპრი (ბელ.) 6-2
ქსამაქსი – შტუტგარტი 1-6
ზაგლებე – სლავენი 1-1
ტატაბანია – ციბალია 3-2
პელისტერი – ფრიოლუნდა 3-1
ატლანტასი – ბრედფორდი 1-3
დინაბურგი – ოლბორგი 0-0
ველბაჟდი – სიგმა 2-0

## ერთბაშად სამი ფოთელი «ტავრიაში»

უკრაინის უმაღლესი ლიგის სიმფეროპოლის „ტავრიამ“, ფოთის „კოლხეთის“ ერთბაშად სამ ფეხბურთელთან მოაწერა ხელი კონტრაქტს: გოჩა ტრაპაიძესთან, ჯონი შალამბერიძესა და ზაველ ღაღანიძესთან.

წლეულს „ტავრიამ“ დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა ადგილი უკრაინის უმაღლეს ლიგაში.

## მიხეილ ჯიშკარიანი — «ტორპედო-ზილში»



ცნობილი თავდამსხმელი მიხეილ ჯიშკარიანი, რომელმაც წლევანდელი სეზონი სარატოვის „სოკოლში“ დაიწყო, ერთხანს თბილისის „ლოკომოტივში“ გამოჩნდა და საქართველოს თასის ფინალშიც ითამაშა, ახლა კვლავ რუსეთის გზას გაუდგა. იგი ჩაირიცხა მოსკოვის „ტორპედო-ზილში“, რომელიც მეორე ადგილზეა რუსეთის პირველ დივიზიონში და უმაღლესში გადასვლის დიდი შესაძლებლობები აქვს.

*სურათზე:*
*მიხეილ ჯიშკარიანი*

## ბოსმანის დაწყებულს ევროსაბჭო აგვირგვინებს, ფიფა კომპრომისს ეძებს

საფეხბურთო სამყაროში ნამდვილი რევოლუცია მოხდაო, ვაუწყეთ „ლელოს“ მკითხველებს, როცა მარკ ბოსმანის გახმაურებული საქმის შემდეგ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც კლუბებთან კონტრაქტი დაუმთავრდათ, სრული თავისუფლება მიენიჭათ. ახლა კი, როგორც ეტყობა, ევროსაბჭოს ეს მონაპოვარი საკმარისად არ ეჩვენა და კატეგორიულად მოითხოვა ასეთივე თავისუფლება გავრცელდეს იმ ფეხბურთელებზეც, რომლებსაც კლუბებთან კონტრაქტის ვადა არ გასვლიათ. „დარწმუნებული ვართ, ევროსაბჭოსთან კომპრომისს მივაღწევთ“. — განაცხადა ამას წინათ ფიფას პრეს-ატაშემ ამელია ტორესმა.

# მარტო კლასით თავმოწონება გუშინდელი დღეა...

*მესამე გვერდიდან*

რუმინეთი შინ მიიღებს ლიტვას, ხოლო უნგრეთი — იტალიას. ამასთან დაკავშირებით, ერთ სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ: ვერაფრით დავეთანხმებით ოპტიმისტების იმ განცხადებას, როცა კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ ფაქტთან დაკავშირებით: ჩემპიონატისთვის ქართველები უკეთესად მოემზადებიან, თანაც მეტოქეებსაც დავზვერავთო. ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ ქართველებისათვის უკეთესი იყო რაც შეიძლება ადრე შეხვედროდნენ იტალიისა და რუმინეთის გუნდებს: ამ კოლექტივებს დამქანცველი ევრო-2000-ის შემდეგ, ცხადია, დრო დასჭირდებათ ძალების ასაღდგენად. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ისინი, ფაქტობრივად, ახალი გუნდით წარსდგებიან მაყურებელთა წინაშე, შეთამაშებას კი დრო სჭირდება. ამიტომ, საკითხავია, როდის უფრო უკეთესი იყო მათთან თამაში, სექტემბერში თუ ოქტომბერში?

ახლა ჩვენს მთავარ საზრუნავზე, საქართველოს ნაკრებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. „ლელო" ბოლო წერილებში, განსაკუთრებით სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ესტონეთთან ჩატარებული ამხანაგური თამაშების შემდეგ ერთგვარ შეშფოთებას გამოთქვამდა იმ გაურკვეველი სიტუაციის გამო, რომელშიც ჩვენი გუნდი მოექცა. ოქტომბრამდე არც ისე შორია და დარწმუნებით ვერავინ დაგვისახელებს იმ ფეხბურთელთა ვინაობას, ვისაც ნამდვილად შესწევს უნარი გავიდეს მინდორზე და ღირსეულად „იომოს", ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: დღეს მარტო კლასით, ტექნიკით და იმპროვიზაციის უნარით შორს ვერ წახვალ. ევრო-2000-მა ნათლად დაგვანახვა ფეხბურთელთა მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების სიმტკიცის აუცილებლობა: იუგოსლავიელები სლოვენიელებთან 0-3-ს აგებდნენ, პორტუგალიელები ინგლისელებთან — 0-2-ს, კაცნაკლულ იტალიელებს ჰოლანდიელების წინააღმდეგ ორი პენალტიც დაუნიშნეს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება სულით უფრო მედგრად მყოფთა მხარეზე იყო. განა დღეს საქართველოს ნაკრებში გვყავან ასეთი მოთამაშეები? ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა ვთხოვოთ ნაკრების თავკაცებს (უკვე მერამდენედ!) — ყოველი მატჩისას შეახვედრეთ ფეხბურთელები გულშემატკივრებს, დაე, მოთამაშეებმა იცოდნენ, რომ საზოგადოებრიობა თითოეულ მათგანს პასუხს მოსთხოვს, თორემ, რა გამოდის: დამთავრდება თუ არა შეხვედრა, ყველა თავის კლუბს მიაშურებს და ჟურნალისტებს ხელში მხოლოდ გაწბილებული მწვრთნელები გვრჩება, რომლებიც გულწრფელ ლაპარაკს გაურბიან. — აი, როცა ფეხბურთელს ეცოდინება, რომ მან საზოგადოებრიობას ანგარიში უნდა ჩააბაროს, იგი მინდორზე „თავს დადებს"...

რა მდგომარეობაა სხვა შესარჩევ ჯგუფებში? **პირველში,** სადაც თავმოყრილნი არიან იუგოსლავიის, რუსეთის, შვეიცარიის, სლოვენიის, ლუქსემბურგის და ფარერის კუნძულების ნაკრები გუნდები, ფავორიტებად იუგები, რუსები და სლოვენიელები ითვლებიან. იუგებისა და სლოვენიელების ძალა ევრო-2000-ზეც გამოჩნდა, აი, რუსებისგან კი სიურპრიზს ელიან: საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატსა და ევრო-2000-ს ტელევიზიით რომ ვუყურებდით, ბოლმით ვსკდებოდითო, ამბობდნენ ამბიციური რუსეთელები და ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ასევე არ დაემართოთ კორეა-იაპონიაში. სხვა ფეხბურთელებთან ერთად მათ ომარ თეთრაძის დიდი იმედებიც აქვთ — იგი ამჟამად საბერძნეთის პაოკის წამყვანი მოთამაშეა და მისი გადაბირება ქვეყნის ორ გრანდს „პანათინაიკოსსა" და „ოლიმპიაკოსს" სურს.

**მეორეში** (ჰოლანდია, პორტუგალია, ირლანდია, კვიპროსი, ანდორა, ესტონეთი), ცხადია, ძირითადი ბრძოლა პორტუგალიასა და ჰოლანდიას შორის წარიმართება, თუმცა, არც ირლანდიაა ხელწამოსაკრავი გუნდი.

**მესამე ჯგუფში** (ჩეხეთი, დანია, ბულგარეთი, ისლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, მალტა) მხოლოდ ერთი აუტსაიდერია, დანარჩენი გუნდები მეტნაკლებად ერთმანეთში კონკურენტუნარიანები არიან. რასაკვირველია, ყველაზე ამბიციურებს მაინც ჩეხებს მიიჩნევენ.

**მეოთხე ჯგუფში** (შვედეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი, მოლდავეთი) სპეციალისტები სტატისტების როლს მიაკუთვნებენ მაკედონიის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის გუნდებს (თუმცა, ალექსანდრე ჩივაძე თუ მართლაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის მეზობლებს, შეიძლება ისინიც ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ), სხვა დანარჩენებს დაახლოებით თანაბარი შანსი გააჩნიათ.

**მეხუთეში** (ნორვეგია, უკრაინა, პოლონეთი, უელსი, სომხეთი, ბელარუსი) ფავორიტი ნორვეგიაა, მას კონკურენციას, ალბათ, უკრაინა გაუწევს.

**მეექვსე ჯგუფში** (ბელგია, შოტლანდია, ხორვატია, ლატვია, სან-მარინო) ერთი აუტსაიდერია — სან-მარინო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ძლიერ გუნდს აყალიბებენ ხორვატები.

**მეშვიდეში** (ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, ბოსნია, ლიხტენშტეინი) ერთი უპირობო ფავორიტია — ესპანეთი. ვეჭვობთ, რომ სხვებმა მას კონკურენცია გაუწიონ.

**მეცხრეში** (გერმანია, ინგლისი, საბერძნეთი, ფინეთი, ალბანეთი), როგორც ხედავთ, თავმოყრილნი არიან ევრო-2000-ზე ხელმოცარული გერმანიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. სწორედ ისინი „იომებენ" ჯგუფიდან გასვლაზე. მათი შანსები თანაბარია.

მაშ ასე, წინ ცხარე ბრძოლებია მოსალოდნელი. ასე რომ, ფეხბურთის გულშემატკივრებს არაერთი სასიამოვნო წუთების განცდა მოუწევთ.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

UEFA
EURO 2000
The Low Countries

# ლემერმა შეცვლები გამოიცნო და ფრანგებს გაამარჯვებინა

**მატჩი №31, როტერდამი, ფინალური მატჩი**

**საფრანგეთი — იტალია 1–1. დ.დ. 2–1**

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტიურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (პირესი, 85), ჯორკაეფი (ტრეზეგე, 77), ვიერი, დეშამი, ზიდანი, დიუგარი (ვილტორდი, 59), ანრი.

**იტალია:** ტოლდო, კანავარო, ნესტა, იულიანო, მალდინი, პესოტო, დი ბიაჯო (ამბროზინი, 66), ალბერტინი, ფიორე (დელ, პიერო, 54), დელვეკიო (მონტელა, 85), ტოტი.

***გოლები:*** 0-1 დელვეკიო (56), 1-1 ვილტორდი (90), ტრეზეგე (104).

***გააფრთხილეს:*** დი ბიაჯო, კანავარო.

***მსაჯი:*** ანდერს ფრისკი (შვედეთი).

## მატჩის შემდეგ

**დინო ძოფი (იტალიის ნაკრების მთ. მწვრთნელი):** „დღეს ფრანგებმა გვაჯობეს. სამწუხაროა, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი წავაგე. ფატალურად არ გაგვიმართლა. ალბათ, ვერავინ იტყვის, რომ ცუდად ვითამაშეთ და არ ვიბრძოლეთ".

**როჟე ლემერი (საფრანგეთის ნაკრების მთ. მწვრთნელი):** „თავს უზომოდ ბედნიერად ვგრძნობ. ჩემი წინამძღოლობით ნაკრებმა პირველივე ტურნირი მოიგო და ახლა ერთადერთი გუნდია, მსოფლიო ჩემპიონობასთან ერთად, ევროპის უძლიერესი ნაკრების ტიტულიც რომ დაიმსახურა. მეტოქეობაც ასეთი უნდა – ბრავო იტალია! ძოფის ბიჭებმა ღირსეულად ითამაშეს."

## ფინალი

მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო, სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. ფრანგები უმეტესწილად მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ანრი, არც იტალიელი დელვეკიო დარჩენილა ჩრდილში. მერე, თანდათან თამაშმა მინდვრის ცენტრში გადაინაცვლა და ეს არცაა გასაკვირი: ძოფიც, ლემერიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ცენტრისთვის ბრძოლას. უნდა ითქვას, რომ აპენინელებს ამ დღეს ძალიან აკლდათ დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი ძამბროტა, იგი ნახევარფინალში გააძევეს თამაშიდან, მისი ფუნქციების შესრულება დი ბიაჯოს დაავალეს. გაამართლა ძოფის ჩანაფიქრმა — ფრანგთაგან ყველაზე სახიფათოს ზიდანს პერსანალური „მეურვე" არ მიუჩინეს და მხოლოდ ზონურად კეტავდნენ. ტაიმის ბოლო მსოფლიო ჩემპიონების უპირატესობით წარიმართა: ჯორკაეფ-დიუგარის წყვილმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია ტოლდოს კარს.

ასეთივე სურათით წარიმართა მატჩი შესვენების შემდეგაც: ძირითადში ფრანგები უტევდნენ, ხოლო იტალიელები, როგორც სჩვევიათ, დაცვაში „ჩაჯდნენ" და თავის შანსს დაელოდნენ. ამ ტაქტიკამ აპენინელებს გაუმართლათ: ტოტიმ მშვენივრად გაუგდო ქუსლით ბურთი მარჯვენა ფრთაზე პესოტოს, მანაც სახიფათოდ ჩააწოდა. ბარტეზსა და მცველებს დაასწრო დელვეკიომ და ანგარიში გახსნა. ცხადია, ფრანგებს ნერვიულობა დაეტყოთ, ხოლო იტალიელებს, სახელდობრ, ტოტის და ორჯერ შეცვლაზე შემოსულ დი ბიაჯოს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ბარტეზი უნაკლო იყო

თანდათან ფრანგები გონს მოეგნენ და მატჩის მიწურულს მძაფრად შეუტიეს მეტოქის კარს. უნდა ითქვას, რომ ძალიან იღბლიანი შეცვლები გამოუვიდა როჟე ლემერს — პირესმა, ტრეზეგემ და ვილტორდმა საგრძნობლად გააძლიერეს ფრანგების შეტევითი პოტენციალი. მათმა გარჯამ ძირითადი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე შედეგი გამოიღო. ანგარიში გაათანაბრეს, 1-1.

გუნდები დამატებით დროშიც აქტიურობდნენ, ძალიან იღბლიანად ჩაერთო თამაშში ტრეზეგე. ერთ მომენტში პირესის მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთის დამუშავებაში მშვენიერი ოსტატობა გამოავლინა და ტოლდოს აუღებელი დაურტყა — ოქროს გოლი!

მერე კი, რაც იყო თავად მიხვდებით — იტალიელთა ცრემლები და ფრანგთა განუზომელი სიხარული. მწვრთნელებმაც თავისი თქვეს, რაზედაც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

## ჰოლანდიელ ბანკირებს ნაკრების გამარჯვება არ სურდათ

ჰოლანდიის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა ქვეყნის ეკონომიკური პერსპექტივის გამო, ნაკრები თუ გაიმარჯვებდა ევრო-2000-ში, გამოიწვევდა ინვენსტიციების მკვეთრ ზრდას, რაც გააქტიურებდა ეკონომიკური ინფლაციის პროცესებს, — ნათქვამი იყო ბანკირების განცხადებაში სახელწოდებით „სოკკერნომიკა". მსგავსი პროცესები, გაცილებით მცირე მასშტაბის, ადრეც ყოფილა აღნიშნული გერმანიასა და საფრანგეთში ამ ქვეყნების ევრო-96 და მსოფლიო-98-ში გამარჯვების შემდეგ. მიუხედავად ამისა ჰოლანდიელი ბანკირები საზოგადოებას აუწყებდნენ, რომ ეროვნული ნაკრების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და სწამდათ მისი გამარჯვებისა.

## მკითხველი – გაზეთი

ვინც თვალს ადევნებდა ევრო-2000-ის ტელერეპორტაჟებს, არ უნდა გაჰკვირვებოდა „სკუადრა აძურას" გამარჯვება, თუნდაც იმიტომ, რომ აპენინელები ბენილუქსის ქვეყნებში თავს ისე გრძნობდნენ — ტრიბუნების დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ, თითქოს სხვაგან კი არა, „საკუთარ კედლებში" გამოდიოდნენ. წარმოიდგინეთ, ერთ-ერთ მასპინძლებთან — ბელგიის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ბელგიის დედაქალაქში ისე გაჰკიოდნენ ავტომანქანების კლაქსონები, გაუთვითცნობიერებულ კაცს ეგონებოდა თამაში ჩემპიონატის მასპინძლებმა მოიგეს, პირიქით კი იყო. საეჭვოა, რომ იტალიიდან ამდენი ტიფოზი ჩასულიყო თავიანთი გუნდის საქომაგოდ.

ანდა, ფინალური მატჩი აიღეთ. აქაც მრავალათასიანი ტრიბუნები მთლად „სკუადრა აძურას" ფერებში იყო...

*ლ. ლამბაშიძე, თბილისი*

მართალი ბრძანდებით. რამდენადმე ასეც გამოვიდა — იტალიელებს აპენინის ნახევარკუნძულიდან ჩამოსულ ტიფოზებთან ერთად, ბენილუქსის მაცხოვრებლებიც გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში, მაგალითად, ბელგიას, რომელიც ვალონიის ქვანახშირის შახტებში მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის, უამრავმა იტალიელმა მიაშურა ხელშეკრულებით.

თითოეულ მუშას ბელგია ხუთ ტონა ქვანახშირს უხდის. იქ დღეისათვის 203 ათასი იტალიელია, რომლებსაც თავისი ქვეყნის პასპორტი აქვს. ახლა, რამდენმა მიიღო ბელგიური ქვეშევრდომობა? 1970 წელს 9-მილიონიან მოსახლეობაზე 300 ათასი ჩასული იტალიელი იყო.

ერთი სიტყვით, იქ იტალიელები თავისიანებად ითვლებიან, მარტო პიცერიები კი არა აქვთ, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად მონაწილეობენ. ბელგიის დედოფალი პაოლაც იტალიელია, თუმცა მას მეშახტეთა იმიგრაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს...

ისე რომ, ადგილობრივი მაყურებლების უმრავლესობა, რომ „სკუადრა აძურას" უჭერდა მხარს, გასაკვირი არ უნდა იყოს!

## სიყვარულმა მოცდა არ იცის



ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ერთ-ერთ ქალაქში, უფრო ზუსტად, ეინდჰოვენში, ინგლისი-პორტუგალიის მატჩის წინ მოულოდნელი ამბავი მოხდა: დილით აკრედიტებული ბრიტანელი ერთ-ერთი ტელეკომპანიის კომენტატორი გლენ ჰოდლი სადღაც გაუჩინარდა. აქეთ ეცენ, იქით ეცნენ, ვერსად იპოვნეს. იგი მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. თურმე, ნუ იტყვით, 42 წლის კაცი ინგლისის ქალაქ ბერქშირში გაფრენილა, სადაც სასწრაფოდ იქორწინა ერთი წლით უმცროს ვანესა შინთან,. „ვანესამ დამირეკა და მითხრა, ან ახლა, ან არასდროსო. მაშ, რა მექნა?. — განუცხადა ჰოდლმა ტელეკომპანიის მესვეურთ.

ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის გლენ ჰოდლის სახელი კარგადაა ცნობილი. სწორედ იგი წვრთნიდა ინგლისის ეროვნულ ნაკრებს საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე. მისი ხელმძღვანელობით ბრიტანელებმა ორჯერ წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრებთან და ერთნაირი ანგარიშით 2-0 დაგვამარცხეს.

## ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

***1. სად, რომელ კონტინენტზე გაიმართა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის?***

ა) ამერიკის;
ბ) ევროპის;
გ) აზიის.

***2. რომელ წელს დაფუძნდა უეფა?***

ა) 1950 წელს;
ბ) 1952 წელს;
გ) 1954 წელს.

***3. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენ შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ნაკრები?***

ა) ერთ ტურნირში;
ბ) ორ ტურნირში;
გ) სამ ტურნირში.

***4. ვინ იყო ფიფას პირველი პრეზიდენტი?***

ა) ანრი დელონე;
ბ) ოტორინო ბარასი;
გ) ჟიულ რიმე.

***5. რომელ წელს ჩატარდა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო მატჩი ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის?***

ა) 1870 წელს;
ბ) 1871 წელს;
გ) 1872 წელს.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1 – ბ, 2 – გ, 3 – ბ, 4 – გ, 5 – გ.***

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

## სამხრეთ ამერიკა
### IV ტური

კოლუმბია — არგენტინა 1-3
ჩილე — პარაგვაი 3-1
ეკვადორი — პერუ 2-1
ბრაზილია — ურუგვაი 1-1
ვენესუელა — ბოლივია 4-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| ურუგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| ეკვადორი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| პარაგვაი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| კოლუმბია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| პერუ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| ჩილე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| ვენესუელა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-11 | 3 |
| ბოლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |

# „დალაქიანი რომ იყო, ისეთ ჯიგრიან ბიჭებს შევაგროვებდი...“

*ნოდარ დუმბაძე*
*„მარადისობის კანონი“*



1955 წლის გათამაშების მატჩი კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“ — შეტევაზეა „ტოდოს“ გუნდის მარჯვენა გარემარბი ედუარდ დალაქიანი. მის წინაა მასპინძელთა ცენტრალური მცველი ვიქტორ მურზინი

ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა ოთახში. ასე ან სხვა ქალაქიდან რეკავენ ხოლმე, ანდა, სატელეფონო სადგურიდან. ედუარდი სწრაფად წამოდგა სავარძლიდან, სულმოუთქმელად ეცა ყურმილს — ნეტავ ვინ უნდა იყოს?! რა არ იფიქრა, მაგრამ ამას ვერაფრით წარმოიდგენდა!

— ნოდარი ვარ... დუმბაძე, ბატონო ედუარდ! — გაისმა ყურმილში.

— მეგონა ვიღაცა მაშაყირებდა — ელიმება ჩვენს თანამოსაუბრეს — რა ვიცი, ძმაკაცებს უყვართ ხოლმე ასეთი ხუმრობა, თუმცა, მალე დავრწმუნდი, რომ მართლა ნოდარ დუმბაძე მელაპარაკებოდა.

— ახალ წიგნსა ვწერ, რომანს, „მარადისობის კანონი“ დავარქვი. თითქმის მზადა მაქვს, ორი-სამი პატარა ეპიზოდი დამრჩა მხოლოდ... ჩემო ედუარდ, რომელი უბნელი ხარ?

— სოლოლაკელი გახლავართ!

— მინდა შეგხვდეთ და ცოტა წავესაუბროთ...

— ნოდარჯან, მანქანა გამიფუჭდა წუხელ, გავაკეთებ ერთ-ორ საათში და გეახლებით, სადაც მეტყვით...

— არა, არა... ჩემს მანქანას გამოგიგზავნით ახლავე, ათ-თხუთმეტ წუთში მანდ იქნება!

ნ. დუმბაძის შავი „ვოლგა“ ე. დალაქიანის სახლთან გაჩერდა ველიამინოვის (ახლანდელი დადიანის) ქუჩაზე, №24 სახლთან — იქ, სადაც თბილისში ყველაზე ცნობილი სახინკლეა.

ედუარდი ეწვია ნოდარ... სტუმარი გახარებული ჩანდა სახელგანთქმულ მწერალთან შეხვედრით, ეტყობოდა, რომ მასპინძელიც დიდად კმაყოფილი იყო ცნობილი ფეხბურთელის ვიზიტით. ნოდარი ხომ ფეხბურთის დიდი ქომაგი გახლდათ.

— ჩემი წიგნი რომ გამოვა, პირველ ეგზემპლარს შენ გაჩუქებ, ჩემო ედუარდ!

მწერალმა შეასრულა დაპირება. ედუარდ დალაქიანმა ნ. დუმბაძის ძვირფასი ავტოგრაფით დამშვენებული წიგნი გადაგვიფურცლა 102-ე გვერდზე:

— „მე რომ ჩვენი მთავრობა ვიყო, არა? ... ავიღებდი და ერთ გუნდს სულაც თბილისელი სომხებისგან შევკრავდი, აი, დალაქიანი რომ იყო, ისეთ ჯიგრიან ბიჭებს შევარჩევდი, ეგენი „არარატს“ სულ დედას უტირებდნენ“, — წავიდა ოცნებაში ბულიკა. (ეს სტრიქონები მაშინ დაიწერა, როდესაც ჩვენმა „დინამომ“ 0-2 წააგო „არარატთან“).



თბილისელ არმიელთა გუნდი („ტოდო“) 1958 წელს შვეციის „გიოტებორგთან“ მატჩის წინ. მარჯვენიდან — ედუარდ დალაქიანი, რობერტ ჭანჭალეიშვილი, ვოვა რამიშვილი, თენგიზ მელაშვილი, იური კურტანიძე, დოდიკ ხუნდაძე, გენო მენაბდე, გიორგი კვირკველია, ედუარდ თორაძე...

... სოლოლაკში სწავლობდა 94-ე სკოლაში. ბავშვობიდანვე შეიყვარა ფეხბურთი, ჯერ კიდევ დიდ ომამდე იყო ეს. მამამისს დაჰყავდა სტადიონზე ხშირად.

— ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ჩემი იდეალი (როგორც ყველასი!) განუმეორებელი ბორის პაიჭაძე იყო! აღტაცებული ვიყავი მისი დრიბლინგით (თუმცა მაშინ ჯერ ხეირიანად არც კი ვიცოდი რას ნიშნავდა ეს სიტყვა) და კარში დარტყმებით მარცხენა ფეხით. ძალიან მომწონდა ბრწყინვალე გაიოზ ჯეჯელავას თამაშიც — მისი ფინტები და „ფოკუზები“, არ დამავიწყდება აგრეთვე ჩვენი დიდებული მეკარის შურა დოროხოვის თავგანწირული ნახტომები. დიდ ეზოში ვცხოვრობდი და ბიჭები დაღამებამდე დავსდევდით ბურთს. მართალია, მათგან მხოლოდ მე გამოვედი ფეხბურთელი, მაგრამ დიდად მეამაყება, რომ სწორედ ამ ეზოში ცხოვრობდნენ შემდგომში ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორნიც არიან მიშა (მერე იგი მიქაელი გახდა) ტარივერდიევი — ცნობილი კომპოზიტორი, ავტორი მუსიკისა პოპულარული კინოფილმისათვის „Ирония судьбы, или с легким паром“, აგრეთვე ნიჭიერი მხატვარი კოკი მაისურაძე, აკადემიკოსი — ისტორიკოსი მიშიკო ორჯონიკიძე...

ჯერ კიდევ პატარა იყო ედუარდი, როდესაც სტადიონზე გაბედა წასვლა მამის გარეშეც — უბნელ ბიჭებს გაჰყვა „ფუტბოლზე“. ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის ასირ გალპერინის ბავშვთა გუნდების — „მოლოტის“, „სიხარულის“, „იმედისა“ და „ბელურას“ მატჩებთან ერთად მათ ვარჯიშებსაც ხშირ-ხშირად ესწრებოდა. სწორედ აქ ნახა პირველად ვახო გვარამაძისა და ბიძინა ტაბიძის თამაში, მერე რომ თბილისის „სპარტაკისა“ და „ტოდოს“ ღირსებას იცავდნენ მასთან ერთად. ამ დროისათვის (1946 წელს) გაიოზ ჯეჯელავამ 35-ე საფეხბურთო სკოლა დააარსა. ედუარდს ძალიან უნდოდა მოხვედრილიყო იქ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მომავალი ფეხბურთელი გასინჯეს ასირ გალპერინმა და მეორე მწვრთნელმა გიორგი დიხამინჯიამ და „ნორჩ დინამოელში“ ჩარიცხეს.

ჭაბუკთა შორის ქალაქის პირველობა მიმდინარეობდა 1949 წელს. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს („ტტუ“) გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ძველმა ლოკომოტიველმა თავდამსხმელმა სერგო სიხარულიძემ აათვალჩაათვალიერა კეხიანი ცხვირის პატრონი — სწრაფი, ტექნიკური ჭაბუკი და თავის გუნდში აიყვანა მარჯვენა გარემარბად. გვიანი შემოდგომა იყო. ფეხბურთელები ჯერ სპორტდარბაზში ვარჯიშობდნენ, მერე კი 10-დღიან შეკრებაზე გაემგზავრნენ ბაკურიანში. ვახო გვარამაძე და ბიძინა ტაბიძე „ნორჩ დინამოელში“ დარჩნენ, ედუარდ დალაქიანი კი უკვე მოზრდილებთან ერთად თამაშობდა „ტტუ“-ში. საქართველოს პირველობაზე გამოდიოდნენ, ს. სიხარულიძესთან ერთად გუნდს ავარჯიშებდნენ მოთამაშე-მწვრთნელები, ცნობილი დინამოელი ოსტატები ბორის ფროლოვი და ვიქტორ ბერეჟნოი. კარგი გუნდი შეიქმნა — მეკარე გოგი ქაცარავა, ბუდა ტომარაძე, ვალიკო ირემაძე, ვაჟა უჩანეიშვილი, შოთა მამრიკაშვილი, ედუარდ დალაქიანი... მათი მთავარი კონკურენტი „ტოდოს“ გუნდი იყო: ხან ერთი იმარჯვებდა, ხან — მეორე. 1950 წელს „ტტუ“-მ სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა ხარკოვში, სადაც ფინალურ მატჩში დამაჯერებლად მოუგო ლენინგრადელებს 3-1 თბილისელთაგან მეორე გოლი დალაქიანმა გაიტანა. შინ რომ დაბრუნდა ედუარდი, ოთახში მამამისთან ერთად... ფეხბურთის ცნობილი ვეტერანი და მწვრთნელი ვახტანგ (დუკა) რამიშვილი დახვდა. „დიავოლა“ გიბარებს! — უთხრა ე. დალაქიანს — „სპარტაკში“ უნდა შენი აყვანა.“ მეთერთმეტეკლასელი ბიჭი ანდრო ჟორდანიას სახელგანთქმულ „სპარტაკში“ (გუნდის უფროსი იმხანად მიხეილ ფოცხვერია იყო) მოხვდა. აქ უკვე ჩაერიცხათ რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი: ზაურ კალოევი, ალიოშა კოტრიკაძე და ოთარ ოთარაშვილი — 35-ე სკოლიდან, ანატოლი (გიგა) ნორაკიძე — სოხუმიდან, ოთარ კინწურაშვილი — თბილისის „ლოკომოტივიდან“. მართლაც მშვენიერი გუნდი იყო: მეკარეები — ლეგენდარული ვლადისლავ ქმელკოვი (მოსკოვის „სპარტაკიდან“, გივი იოსელიანი და ანტონ ქარჩავა, მცველები — თემო გუგუნავა, კუკური გოგლიძე, იური კატანოვი და აკაკი ხურციძე, ნახევარმცველები — მერაბ („ჩიკლიკა“) გამყრელიძე, ნიკოლოზ გაგნიძე, თავდამსხმელები — ედუარდ დალაქიანი, ანატოლი ნორაკიძე, ზაურ კალოევი, ვლადიმერ („ძიუ“) ლომაია, კუკური („კუნო“) სიხარულიძე. მერე მათი უმრავლესობა, როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს.

წინა წელს საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „სპარტაკი“ ბოლოსწინა, მე-14 ადგილზე გავიდა. თუმცა, კარგად ჩაატარა მთელი რიგი მატჩები მათ შორის მოსკოვში „სტალინეცის“ (დღეს „ლოკომოტივი“) სტადიონზე 3-2 მოუგო ადგილობრივ სპარტაკელებს. აღსანიშნავია, რომ იმ მატჩს თბილისელები აგებდნენ 0-2, მაგრამ ზედიზედ 3 გოლი გაიტანეს (3-2), აქედან მეორე — ე. დალაქიანმა. ზ. კალოევის ჩამოწოდების შემდეგ მან ზუსტად დაარტყა მეკარე ჩერნიშოვის კარში. იმ წელს თბილისის „დინამომ“ თავისი ახალი უფროსი მწვრთნელის მიხაილ იაკუშინის ხელმძღვანელობით საპატიო მეორე ადგილი დაიკავა ჩემპიონატში ცდსა-ს შემდეგ, ამასთან, ორივე წრეში დამაჯერებლად მოუგო თბილისის „სპარტაკს“ — 6-0 და 2-0. სამწუხაროდ, ეს ახალგაზრდული გუნდი დაიშალა. ქართველმა საზოგადოებრიობამ ღია წერილით მიმართა ჩვენი სპორტის მესვეურებს საყვარელი „სპარტაკის“ გადარჩენის თაობაზე, მაგრამ, ამაოდ. თბილისის „დინამოში“ იქედან სამი ფეხბურთელი მიიწვიეს — კონსტანტინე გაგნიძე, აჩიკო კილაძე და ავთანდილ პაიჭაძე, ხოლო ედუარდ დალაქიანი და იური კატანოვი ანდრო ჟორდანიამ 1952 წლის სეზონში თავის „მეორე სამშობლოში“ — ივანოვოში წაიყვანა, სადაც ისინი ადგილობრივ „კრასნოე ზნამიაში“ გამოდიოდნენ.

კიდევ ერთი სეზონიც მიიწურა. რუსთაველის პროსპექტზე „ტოდოს“ გუნდის უფროსი მწვრთნელი ნესტორ ჩხატარაშვილი შემოხვდა ედუარდს და... უკან აღარ გაუშვა ივანოვოში. დალაქიანი თბილისელ არმიელთა გუნდში ჩარიცხეს. გავიხსენოთ ის შემადგენლობაც: მეკარეები — რაფაელ მათევოსიანი და ოლეგ ბობკოვი (ცდსა-დან), მცველები — შალვა ჭრელაშვილი, ედუარდ (სულიკო) თორაძე და აკაკი ხურციძე, ნახევარმცველები — დოდიკ ხუნდაძე, მერაბ გამყრელიძე (ან ალექსეი ზაიცევსკი ცდსა-დან), თავდამსხმელები — ედუარდ დალაქიანი, ანატოლი ნორაკიძე, ვსევოლოდ ჩაიჩუკი (ცდსა-დან), იური კურტანიძე და ბორის კოვერზნევი (ცდსა-დან). „ტოდო“, საკავშირო პირველობის „ბ“ კლასში გამოდიოდა, ორჯერ ზედიზედ (1955 და 1956 წლებში), როგორც იცით, შეიარაღებული ძალების ჩემპიონი გახდა ოდესასა და ლვოვში.

1957 წელს ე. დალაქიანი ერევნის „სპარტაკმა“ წაიყვანა, რომელსაც გაგიკ ანდრიასიანი ავარჯიშებდა. სულ ერთი წელი დაჰყო თბილისელმა ფეხბურთელმა სომხეთის დედაქალაქში.

იმავე სეზონის დასასრულს თბილისის დინამოელთა ახალმა უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ ედუარდ დალაქიანი თავის გუნდში მიიწვია. აქ მასთან ერთად იყვნენ ყოფილი თანაგუნდელები „ტოდოდან“: ბორის სიჭინავა, დოდიკ ხუნდაძე, ანატოლი ნორაკიძე და თენგიზ მელაშვილი. სამწუხაროდ, 1958 წელს ჩვენი გუნდი მისთვის უჩვეულო მე-9 ადგილზე გავიდა. მხოლოდ დონეცკის „შახტიორს“ მოვუგეთ ორივე წრეში. შეგახსენებთ, რომ გაიოზ ჯეჯელავას ნაცვლად იმ სეზონში თბილისის „დინამოს“ სათავეში ედგა მოსკოვის სპარტაკელთა სახელგანთქმული ცენტრალური მცველი და კაპიტანი ვასილი სოკოლოვი.

თბილისელებმა იმ ჩემპიონატის პირველი მატჩი (23 მარტს) საკუთარ მოედანზე თავის ტრადიციულად „ძნელ“ მეტოქესთან, სსრკ ჩემპიონთან მოსკოვის „დინამოსთან“ წააგეს, თანაც დიდი ანგარიშით — 1-6. ამ დღეს მიხეილ მესხი მეორე ტაიმში ედუარდ დალაქიანმა შეცვალა.

— მეორე შეხვედრა ისევ თბილისში გაიმართა — მოსკოველ არმიელებთან (ცსკ მო) გავიმარჯვეთ 2-1. ე. დალაქიანი მარცხენა გარემარბად თამაშობდა მთელი მატჩი.

„მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, 65-ე წუთი. ხასაიამ მარჯვნიდან ზუსტად მომაწოდა ბურთი და მე ძლიერი დარტყმით გავიტანე გოლი ბორის რაზინსკის კარში, ბურთი ახლო კუთხეში გავიდა, — გვიამბობს ე. დალაქიანი.

ამას მოჰყვა მეორე წრის მატჩები: ლენინგრადში „ზენიტთან“ (1-2), კიშინიოვში „მოლდოვასთან“ (1-1), კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“ (0-3), თბილისში — „შახტიორთან“ (1-0). ამ ბოლო შეხვედრაში დონეცკელებთან ე. დალაქიანმა თავისი მეორე გოლი გაიტანა „დინამოს“ შემადგენლობაში: თამაშის დამთავრებამდე 2 წუთი რჩებოდა, მიხეილ მესხი ჩვეული „საფირმო“ ფინტებით დაიძრა მეტოქის კარისკენ და მარცხენა ფლანგიდან ჩამოაწოდა საჯარიმოში. ბურთი ყველას ასცდა...გარდა დალაქიანისა, რომელმაც დაუხვედრა მას ფეხი და ორი მეტრიდან გაახვია ბადეში.

ე. დალაქიანის უკანასკნელი, მეშვიდე შეხვედრა, კიევში გაიმართა თბილისელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს, 0-4.

გარდა ამისა, დალაქიანმა დინამოელთა შემადგენლობაში 5 საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩაატარა 1958 წელს: 30 ივნისს — პოლონეთის „პოლონიასთან“ (ქ. ბიტომი, 6-2), 5 ივლისს — ავსტრიის „ვიენასთან“ (ვენა) „დინამოს“ სტადიონზე დიდი ანგარიშით — 6-2 გავიმარჯვეთ. მეორე ბურთი დალაქიანის ანგარიშზე იყო. ალბათ, ღირს გამარჯვებული გუნდის შემადგენლობის გახსენებაც: სერგო კოტრიკაძე (ანზორ კვაჭაძე), ბორის სიჭინავა, გივი ჩოხელი, გივი ხოჭოლავა, დოდიკ ხუნდაძე, ავთანდილ ღოღობერიძე (ვოვა რამიშვილი), ედუარდ დალაქიანი (ბორის ხასაია), ვლადიმერ ბარქაია, თენგიზ მელაშვილი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი.



ვახტანგ კუციას შარჟი

შემოდგომაზე დინამოელები ამხანაგური ტურნეს ჩასატარებლად ირანს გაემგზავრნენ. 26 ოქტომბერს პირველი მატჩი ითამაშეს თავრიზში ქალაქის ნაკრებთან. 7-0 გავიმარჯვეთ. მესამე გოლი ე. დალაქიანმა გაიტანა. ორი დღის შემდეგ თბილისელებმა თეირანის „შაჰინთან“ ისპარეზეს და 2-1 მოიგეს შეხვედრა. ამ დღეს მასპინძლებმა საჯარიმო მოედანზე „მოცელეს“ დალაქიანი და ღოღობერიძემ ზუსტი პენალტით გამარჯვების გოლი გაიტანა. ბოლო შეხვედრა ირანის ტურნეში 1 ნოემბერს გაიმართა, თეირანის „ტაჯ“ შევხვდით. მეტოქეებმა ვერ მოახერხეს კარის აღება — 0-0.

1959 და 1960 წლებში ედუარდ დალაქიანი „ტოდოს“ დაუბრუნდა, რომელსაც სათავეში ახლა მწვრთნელი ილია ლობჟანიძე ედგა. მარჯვენა გარემარბი თავდამსხმელთა ხაზში თავის ძველ პარტნიორებთან გამოდიოდა — ანატოლი ნორაკიძესთან, იური კურტანიძესთან და სხვებთან.

... 29 წლის ედუარდ დალაქიანმა დაანება თავი საყვარელ ფეხბურთს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თავისი სპეციალობით დაიწყო მუშაობა — ჯერ უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროში“, მერე კი კერამიკულ კომბინატში, სადაც პენსიაზე გასვლამდე დაჰყო.

გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ მისი მართლაც „ჯიგრიანი“ თამაში — შესაშური სისწრაფე, უზადო ტექნიკა, მოხდენილი ფინტები ზედ პირით ხაზზე — დრიბლინგი ფეხზე „გამობმული“ ბურთით.

როდესაც ედუარდ დალაქიანზე მასალას ვამზადებდით, გადავხედეთ ძველი მოსკოველი ფეხბურთელის, სპორტის ოსტატის ალექსეი კალინინის წიგნს „მცველების თამაში“ (მოსკოვი, 1956 წელი, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტ“). მასალაში „ცრუ მოძრაობები“ 26-ე გვერდზე ავტორი წერს: „სვერდლოვსკისა და თბილისის ოფიცერთა სახლების გუნდების მატჩში 1955 წელს თბილისელთა მარჯვენა გარემარბი ე. დალაქიანი წარმატებით იყენებდა ცრუ მოძრაობებს გვერდით ხაზზე სვერდლოვსკელთა გუნდის მოთამაშეების წინააღმდეგ. როდესაც თამაშის შემდეგ შეეკითხნენ მათ, თუ რატომ რეაგირებდნენ ისინი ასე ენერგიულად თბილისელი თავდამსხმელის ცრუ მოძრაობებზე, მცველებმა ერთხმად უპასუხეს, რომ ისინი სავსებით დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ე. დალაქიანი დაიწყებდა მოძრაობას ცენტრისკენ. ფიქრი თამაშის სხვა გაგრძელებაზე მათი აზრით წარმოუდგენელი იყო“.

ა. კალინინი იმავე წიგნში დასძენს, რომ ასეთსავე ცრუ მოძრაობებს ფლობდნენ აგრეთვე საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები სერგეი ილინი, ვასილი ტროფიმოვი, გრიგოლ ფედოტოვი და ვსევოლოდ ბობროვი.

... ნოდარ დუმბაძით დავიწყეთ თხრობა და გვინდა ნოდარ დუმბაძითვე დავამთავროთ. გახსოვთ ხომ, ჩვენი საყვარელი მწერლის გმირის სიტყვები თბილისელ სომეხთა გუნდის თაობაზე?

ჩვენს თანამოსაუბრეს წინადადება მივეცით ერთად „შეგვექმნა“ ეგრეთ წოდებულ ქართველ სომეხთა ნაკრები... ქაღალდზე. ედუარდ დალაქიანი სიამოვნებით დაგვთანხმდა ამ უჩვეულო წინადადებაზე. მაშ ასე: მეკარეები — არტიუშა (ქეფთორ), კელენჯიანი ან რაფაელ მათევოსიანი, მცველები — გრიშა ელიაზაროვი, ლიულია კარაჯიანი და სურენ აკოფოვი, ნახევარმცველები — კარპო კარამატაზიანი და გიორგი ავეტისოვი („ტანც-გეურქა“), თავდამსხმელები — ედუარდ დალაქიანი, სარქის ოვივიანი, ნიკიტა სიმონიანი, სერგო აპრესიანი და კონსტანტინ ბეგლარიანი. მწვრთნელად, რაღა თქმა უნდა — მიხაილ ასლამაზოვი „დავნიშნეთ“.

— ასეთი გუნდით — დასძენს ე. დალაქიანი — ალბათ, მართლაც მოვუგებდით ერევნელებს... გნებავთ „დინამოზე“, გნებავთ „რაზდანზე“!

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან.*

UEFA
EURO 2000
The Low Countries

# ექო

### კოელიომ ნაკრები დატოვა

როგორც კი დამთავრდა საფრანგეთ-პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩი, 50 წლის უმბერტუ კოელიომ მაშინვე გამოაცხადა, რომ ტოვებს თანამდებობას. მისი კონტრაქტი პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან 31 ივლისამდე გრძელდებოდა, მაგრამ კოელიომ აქამდე მოცდაც კი არ ისურვა და გზა დაულოცა იმ მწვრთნელს, რომელიც პორტუგალიის ნაკრებში დაიწყებს მუშაობას. იგი ნაკრებს 1997 წელს ჩაუდგა სათავეში და ამის შემდეგ სულ ორი ოფიციალური მატჩი წააგო – რუმინელებთან ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში, და ახლა, ფრანგებთან დამატებით დროში.

### ვიტორ ბაიას რეკორდი

ევროპის პირველობაზე პორტუგალიელთა მეკარემ ვიტორ ბაიამ საინტერესო რეკორდი დაამყარა. მას შემდეგ, რაც ინგლისელებისაგან მე-18 წუთზე მეორე გოლი გაუშვა, მისი კარი აუღებელი გახდა: 1-0 რუმინელებთან, 3-0 გერმანელებთან, 2-0 თურქებთან და კიდევ 50 წუთი (ანრის გოლამდე) ფრანგებთან — საერთო ანგარიშით ზედიზედ 392 წუთი უგოლოდ. ასეთი მიღწევა ერთ ტურნირში აქამდე ჩატარებულ ევროპის პირველობებზე საერთოდ არც ერთ მეკარეს არა ჰქონია.

უფრო „ გრძელი სერია“ — 493 წუთი ჰქონდა დინო ძოფს, მაგრამ მან ათვლა დაიწყო ევროპის ერთ ჩემპიონატში (1968 წელს) და გააგრძელა 12 წლის შემდეგ (1980 წელს) მეორეში.

### თურქებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

მას შემდეგ, რაც მუსტაფა დენიზლიმ დატოვა თურქეთის ნაკრები, მის ნაცვლად ძალიან სწრაფად დაინიშნა შენოლ გიუნეში, რომელიც ადრე „ტრაპზონსპორში“ მუშაობდა. ადრე შენოლი თურქეთის ნაკრების მეკარე იყო.

შენოლ გიუნეშმა მაღალი შეფასება მისცა მუსტაფა დენიზლის, რომელმაც თურქეთის ნაკრები თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. როგორც ახალმა მწვრთნელმა განაცხადა, იგი დენიზლის გზას გააგრძელებს და თურქეთის ახლანდელი ნაკრების ბირთვს შეინარჩუნებს.

### ვინ იქნება ინგლისელების კაპიტანი?

ალან შირერმა ინგლისის ნაკრები რომ დატოვა, გუნდის კაპიტნის პოსტი ვაკანტური გახდა. ახლა ინგლისში დაიწყო დისკუსია, ვინ შეიძლება გახდეს შირერის მემკვიდრე. ყველაზე რეალური კანდიდატურა ორია: დევიდ ბექჰემი და სოლ კემპბელი. ისინი ნაკრების ყველაზე უფრო ავტორიტეტულ ფეხბურთელებად ითვლებიან.

### ოლსენი ნაკრებს არ შეცვლის

დანიის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ახლო წარსულში განთქმული ფეხბურთელი მორტონ ოლსენი გუნდის შემადგენლობის საფუძლიანად შეცვლას არ აპირებს:

— იმ მოთამაშეების უმეტესობასთან ვაპირებ მუშაობას, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. დიახ, ბირთვი შენარჩუნებული იქნება. დაგვთანხმდა პეტერ შმაიხელი, ამასთან, ნაკრებში ახალ ფეხბურთელებსაც მოვიწვევთ.

### კამაჩო: ჩემპიონობისათვის ვიბრძოდით, მაგრამ არ გაგვიმართლა

— აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ჩემპიონობისათვის გვებრძოლა, მაგრამ არ გაგვიმართლა, — განაცხადა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ, — ამის მიუხედავად, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. არც მარცხს ვხედავ და არც ჩავარდნას. არ მესმის, რატომ უნდა ვიხმაროთ ისეთი სიტყვები, როგორიც ფიასკო და ჩავარდნაა. ამჯერად ბედი არა გვწყალობდა, იგი, როგორც წესი, ყოველთვის ჩემპიონებს უღიმის.

კამაჩომ არ გაამახვილა ყურადღება რაულის მიერ პენალტის გაფუჭებაზე. იგი განტევების ვაცად არ მიუჩნევია: „რაულმა თვით მოისურვა 11-მეტრიანის დარტყმა. რატომ გამოუვიდა ასე, უიღბლობით თუ სხვა მიზეზით, არ ვიცი“.

კამაჩომ მაღალი შეფასება მისცა ფრანგების თამაშს, მაგრამ მათი გამარჯვება ესპანელებთან მაინც უსამართლოდ მიიჩნია, თუმცა, რა გაეწყობა, მაინც უნდა ვაღიაროთ“.

კამაჩომ განაცხადა, იგი ნაკრების სათავეში, როგორც მინიმუმი, 20002 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩება. „არავინ მხსნის, ჩემით რატომ უნდა წავიდე?“

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „სერია A“-ს ახალწვეულები

ახალი სეზონიდან „სერია A“-ში თამაშის უფლება მოიპოვეს „ვიჩენცამ“ (ერთხანს „ლანეროსი“ ერქვა), „ნაპოლიმ“, ბერგამოს „ატალანტამ“ და „ბრეშიამ“ ადრე ეს კლუბები უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ, ხოლო „ნაპოლი“, როცა იქ მარადონა და კარეკა გამოდიოდნენ, იტალიის ჩემპიონიც იყო. იტალიის 1991 წლის ჩემპიონი, გენუის „სამპდორია“ ამჯერად კვლავ მარცხიანად გამოვიდა და ახალ სეზონში კვლავ „სერია B“-ში ითამაშებს.

„სერია A“-ს ახალწვეულები ყოველნაირად ცდილობენ შემადგენლობის გაძლიერებას. „ნაპოლის“ მოლაპარაკება აქვს რობერტო ბაჯოსთან, რომელსაც ფაქტობრივად, გაუცდა სეზონი მილანის „ინტერში“.

### მეკარეებს ცვლიან?

ასეთი რამ იტალიის ლიგაში მაინცდამაინც მიღებული არ იყო – ლაპარაკია ძირითადი მეკარეების გაცვლაზე. „ინტერმა“ წინადადება მისცა „ლაციოს“ გაცვალონ მეკარეები, რაც თითქოს ერთი კლუბისთვისაც კარგი იქნება და მეორისთვისაც. კერძოდ, ანჯელო პერუცი, უდავოდ, ერთ-ერთი უძლიერესი იტალიაში, „ინტერიდან“ რომის „ლაციოში“ გადავა, ხოლო ლუკა მარკეჯანი, ასევე, ერთ-ერთი უძლიერესი სერია „A“-ში, მილანის „ინტერის“ კარს დაიცავს. შეიძლება გაცვალონ მცველებიც კრისტიან პანუჩი („ინტერი“) და პაოლო ნეგრო („ლაციო“).

### განა შეცვლის რონალდოსა და ვიერის?

ჰაკან შუქური, რომელმაც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი ევროპის პირველობაზე, „ინტერის“ მწვრთნელების აზრით, ტრავმირებულ რონალდოსა და ვიერის კარგი ალტერნატივა იქნება. მისი გადაბირება „ინტერის“ გარდა, „მილანსა“ და „იუვენტუსსაც“ სურდათ.

5 წლის წინათ თურქი უკვე თამაშობდა „ტორინოში“, მაგრამ მაშინ ვერაფერს მიაღწია და შინ დაბრუნდა.

### რამდენჯერ უნდა გამოეთხოვოს

იუგოსლავიელი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი, რომელსაც ადრე დიდი წარმატებები ჰქონდა მადრიდის „ატლეტიკოში“, მას უკვე მესამედ გამოეთხოვა. „ატლეტიკო“ ხომ ახალი სეზონიდან მეორე ლიგაში ითამაშებს. მართალია, აქ ანტიჩის ბრალი დიდი არ არის – იგი მადრიდულ კლუბს ხომ სულ ცოტა ხნის წინათ დაუბრუნდა, როცა გათამაშების ცხრილში უიმედოდ ჩაძირული იყო.

ახლა ანტიჩი „ოვიედოს“ ჩაუდგა სათავეში, მადრიდის კლუბს კი ამიერიდან ფერნანდო სომბრანო უხელმძღვანელებს.

### ლიბიის პრეზიდენტის ვაჟი პროფესიონალი ფეხბურთელია

ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფის შვილმა მოამერ კადაფმა კონტრაქტს მოაწერა ხელი მალტის ჩემპიონ „ბირკირკარასთან“, რომელსაც მალე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში მოელის გამოსვლა.

ეს გარიგება იმ დროს მოხდა, როცა კადაფის ყოფილი კლუბი „ალ-აჰლი“ (ტრიპოლი), რომელსაც მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი სპრინტში, სკანდალურად ცნობილი კანადელი ბენ ჯონსონი წვრთნის, მალტაზე ტურნეს ატარებდა.

### მთავარი სპონსორი უძლიერესს ასახელებს

ინგლისის ჩემპიონატის მთავარმა სპონსორმა, ლუდის კომპანია „კარლინგმა“ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა „სანდერლენდის“ თავდამსხმელი და ინგლისის ნაკრების წევრი, 26 წლის კევინ ფილიპსი. იგი, როგორც ცნობილია, ინგლისის 1999-2000 წლების ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

## გერმანული ფეხბურთის პრობლემები

# ლოთარ მათეუსი: ვინ მამტყუნებს?!

*მსოფლიო რეკორდსმენი ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩებით (150) ლოთარ მათეუსი გერმანული პრესის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. თვით მათეუსი თავს დამნაშავედ არ თვლის და ამ დღეებში ინტერვიუ მისცა ბერლინის ერთ-ერთ გაზეთს.*

— დეე მათ, ვინც მე განტევების ვაცად მაქცია, ამდენჯერ ითამაშონ გერმანიის ნაკრებში, ამდენი ემსახურონ გერმანულ ფეხბურთს. მე ნაკრებში 150-ჯერ ვითამაშე, იქ 21 წელი გავატარე და დიდება მოვუტანე. თუ ეს ვინმეს ავიწყდება, დეე, ნაკრების ნუსხაში ჩაიხედოს. მე ევროპის ჩემპიონატზე რეკორდების მისაღწევად კი არ ვმონაწილეობდი, არამედ მინდოდა დახმარება გამეწია ნაკრებისათვის, რომელიც ცუდ დღეშია ჩავარდნილი. ყველას დაავიწყდა, რამდენი წლისა ვარ, ისიც, რომ სწორედ ჩემპიონატის წინ დავშავდი. არა, მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, შეცდომებიც მომივიდა, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს სხვების ბრალიც მე ვიკისრო. ჩემპიონატში ხომ გუნდი მონაწილეობდა, ჩვენ ყველანი ერთად დავმარცხდით, და პასუხისმგებლობაც ერთად უნდა ვიკისროთ.

საინტერესოა, რომ მათეუსს ყველაზე მეტად კრისტიან ციგე, ოლივერ კანი და მარკუს ბაბელი აკრიტიკებდნენ. ამიტომ მათეუსი სწორედ მათ მისდგა:

— ციგე რუმინელებთან მატჩში ყველა ბურთს უკლებლივ რუმინელებს აწვდიდა. მე ეჭვიც კი შემეპარა, თვითონაც რუმინელი ხომ არ არის მეთქი. მთელ სეზონში არ მომსვლია იმდენი შეცდომა, რაც ციგეს ამ ერთ მატჩში მოუვიდა. კანი მამტყუნებს, რომ მე მხოლოდ ჩემს რეკორდზე ვზრუნავდი. დეე, გაიხსენოს 1998-99 წლების სეზონი, როგორ ვცდილობდით მთელი გუნდი მისთვის მშრალი სერია გაგვეგრძელებინა. იგი მაშინ არავის გაუმტყუნებია, ჩვენ ხომ ერთ გუნდში ვთამაშობდით. დეე, ოლივერმა კონკრეტულად მიმითითოს, ამ ჩემპიონატში სად, ვის წინააღმდეგ, რა შეცდომა მომივიდა. რა, მე ლოთარ მათეუსი ვიდექი კარში, როცა პორტუგალიელებს ტყაპა-ტყუპით გოლები გაჰქონდათ?! მე მგონი ჩვენი მეკარის გვარი მათეუსი არ არის, ცოტა სხვანაირია. მარკუს ბაბელი, რომელიც მე შეყოვნებით თამაშში მამტყუნებს, რატომღაც ივიწყებს, რომ ინგლისელებთან მატჩში სწორედ მას ევალებოდა შირერის მეთვალყურეობა და არა მე. სინამდვილეში კი აი რა მოხდა: იგი გაშტერებული იდგა, უყურებდა, გაიტანს შირერი გოლს თუ არ გაიტანს. როგორც ვხედავთ, გაიტანა. ისე რომ, ვინ შეაყოვნა და შირერს ხელი არ შეუშალა, ბაბელმა თუ მათეუსმა?

თავდამსხმელები რაღას იტყვიან? სამ მატჩში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანეს. რაზეა ლაპარაკი! მე უნდა შემეტია და გოლები გამეტანა? რომ მცოდნოდა, ასე წაგვივიდოდა საქმე, არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდი ამ ტურნირში სათამაშოდ, მით უმეტეს, მოუშუშებელი ტრავმით.

თითქოს მათეუსი ყველაფერში სწორია. ერთი პატარა შეცდომა მაინც მოუვიდა — შირერის მეურვეობა ბაბელს კი არ ევალებოდა, არამედ, იენს ნოვოტნის.




# ახლა კანს მოვუსმინოთ

— ჩვენ ისე ვითამაშეთ, უარესი რომ არ შეიძლება, — განაცხადა ოლივერ კანმა, — ყველანი უკლებლივ დამნაშავენი ვართ.

კანის აზრით, შეცდომა იყო ნაკრებში ლოთარ მათეუსის მოწვევა:

— ლოთარი დიდი ფეხბურთელია. მაგრამ იგი ხომ წარსულს მიეკუთვნება. იგი ძალზე დაინტერესებულია თავისი რეკორდებით, მაგრამ ნაკრებში ხომ სულ სხვა რამეზე უნდა იზრუნო.

კანი ძალზე სკეპტიკურად უყურებს ნაკრების მწვრთნელად ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელ კრისტოფ დაუმის მიწვევას:

— დეე, დაუმმა გაარკვიოს, სად უნდა იმუშაოს. შეთავსებები კარგი არაფრის მომტანია.

# ბუნდესკანცლერი (ყოფილი ფეხბურთელი) გერჰარდ შრიოდერი: ფეხბურთის პრობლემები თვით ფეხბურთელებმა და სპეციალისტებმა უნდა მოაგვარონ

*ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გერმანიის ყველა პოლიტიკური პარტია თითქოს გაერთიანდა: ახალ ბუნდესტრენერად ყველა ერთსადაიგივე პიროვნებას – ოტმარ ჰითცფელდს ასახელებს.*

*– ასეთი სპეციალისტი ძალიან დაეხმარებოდა ეროვნულ ნაკრებს, – ასე თვლის ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი ფრიდრიხ მერცი.*

*– ჰითცფელდს ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობ, როცა დორტმუნდის „ბორუსიაში“ მუშაობდა, – განაცხადა სოციალ-დემოკრატების ლიდერმა პეტერ შტრუკმა, – მისი დანიშვნა ბუნდესტრენერად სწორედ კარგი გამოსავალი იქნებოდა.*

*აქ არის ერთი დაბრკოლება – ჰითცფელდს მოქმედი კონტრაქტი აქვს მიუნხენის „ბაიერნთან“, რომელიც შორეულ 2003 წელს დამთავრდება. ისე რომ, არც მწვრთნელს, არც „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას არ სურს ახალი წინადადების მიღება. პოლიტიკოსები მაინც არა ცხრებიან. მერცი: „ბაიერნმა“ ეროვნული ნაკრების ინტერესები უნდა გაითვალისწინოს და ჰითცფელდი გაანთავისუფლოს. შტრუკი: მიუნხენელებმა თავიანთი ინტერესები მეორე ადგილზე უნდა დააყენონ, ეროვნული ინტერესების შემდეგ.*

*ასეთი საყოველთაო „ჰითცფელდომანიას“ არ აჰყვა გერმანიის ბუნდესკანცლერი გერჰარდ შრიოდერი, წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი. მან გამოაქვეყნა ღია წერილი, სადაც ლაპარაკობს „სირცხვილის გრძნობაზე“, მაგრამ წერს, რომ ნაკრების დაბრუნება უწინდელ დონეზე მხოლოდ და მხოლოდ თვით ფეხბურთელებისა და სპეციალისტების ამოცანაა.*

## პრეტენდენტი, წარმოიდგინეთ ბევრია

*გერმანიის „ჩაძირული“ ნაკრების მართვა, ერიხ რიბეკის გადადგომის შემდეგ, წარმოიდგინეთ, ბევრს სურს. ზოგის აზრით, მთავარ მწვრთნელად კრისტოფ დაუმს მიიწვევენ. ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელმა, მცირე ფიქრის შემდეგ, განაცხადა, რომ, თუკი შესთავაზებენ, მიიღებს ამ წინადადებას. ახლა გადაწყვეტილება გერმანიის ფეხბურთის კავშირმა უნდა მიიღოს.*

*აი, სხვა პრეტენდენტებიც: ერიხ რიბეკის თანაშემწედ მუშაობდა წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ჰორსტ ჰრუბეში. ადრე იგი გერმანიის მეორე ნაკრების მწვრთნელი იყო, პირველს კადრებს უმზადებდა და ამდენად, ყველა პერსპექტიულ ფეხბურთელს მშვენივრად იცნობს. ამიტომ, ზოგი ექსპერტი უპირატესობას სწორედ ჰრუბეშს ანიჭებს. თურქეთიდან (სტამბოლის „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა) დაბრუნდა ევროპის 1980 წლის ჩემპიონი ჰანს-პიტერ ბრიგელი. იგი თვლის, რომ შეძლებდა ნაკრების ფეხზე დაყენებას. მესამე კანდიდატი ჟურნალისტების აზრით, ცოტა არ იყოს, კურიოზულია. ეს გახლავთ გამოჩენილი მეკარე ახირებული ხასიათითა და სკანდალებით ცნობილი ული შტაინი. როგორც მან განაცხადა, ნაკრები იმიტომ თამაშობს ცუდად, რომ მას არ წვრთნის... ული შტაინი! შტაინს ცოტა მატჩი აქვს ნათამაშევი გერმანიის ნაკრებში, სადაც ფეხბურთელებთან აყალმაყალი მოსდიოდა.*



## რუდი ფიოლერი – დროებით

როცა გაირკვა, კრისტოფ დაუმი კიდევ ერთ წელს დარჩება ლევერკუზენის „ბაიერში“, გერმანიის ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელობამ გადადო ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. დაინიშნა მხოლოდ ნაკრების დროებითი მთავარი მწვრთნელი. ეს მოვალეობა დაევალა რუდი ფიოლერს.

## პატივცემულო რედაქცია!

ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ საინფორმაციო მხარდაჭერისთვის, რომელიც აღმომიჩინეთ „ლელოს“ ფურცლებზე დისკუსიის: „ალავერდის წმინდა ტაძარს მაინც დავუჯეროთ“ (42,2000 წ), პირუთვნელად, მიუკერძოებლად და ობიექტურად წასამართავად.

მადლობას ვუხდი, აგრეთვე, ყველა იმ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, მწერალს, ჟურნალისტს, სპორტის ვეტერანს და ჭიდაობის სპეციალისტებს, რომლებიც მხარს უჭერენ ჩემს წინადადებას აღვადგინოთ ძველი, ტრადიციული, ეროვნული საჭიდაო სამოსი – სახელოიანი ჩოხა და შარვალი, გავამდიდროთ და გავალამაზოთ ქართული ჭიდაობა. სწორედ ასეთი ეროვნული, პატრიოტული მიდგომით საშუალება მოგვეცემა დავიცვათ, შევინახოთ, სათანადოდ მოვუაროთ და შევასწავლოთ მომავალ თაობებს ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა – ქართული ჭიდაობა.

**იური იმერლიშვილი**

***რედაქციისაგან: „ლელოში“ გამოქვეყნდა სიმონ მაისურაძის განსხვავებული აზრიც. ვფიქრობთ, კომისია, რომელიც ამ საკითხზე იმუშავებს, თავის კომპეტენტურ სიტყვას იტყვის.***

## ? შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** რა წესით და სად ჩატარდება წლეულს ფიდეს ეგიდით ვაჟ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი?

*ე. ნიკურაძე, სამტრედია*

**პასუხი:** ვაჟთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს ფიდე მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლო კვირიდან ინდოეთში, სავარაუდოდ, ნიუ-დელიში ან ბომბეიში დაიწყებს. აქ გაიმართება ჩემპიონატში მონაწილეთა გამოთიშვის ეტაპი. ფინალი კი მოგვიანებით ჩატარდება თეირანში. მაგრამ თუ ფინალში გავა რომელიმე დიდოსტატი ისრაელიდან, მაშინ (რელიგიური მოსაზრებით) ფინალს უმასპინძლებს ელისტა. 34-ე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა კი, როგორც იგეგმებოდა, თურქეთში გაიმართება 27 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით.

# ზესწრაფვიდან ნირვანის საფრთხემდე

*მეორე გვერდიდან*

უსახსრობის გამო დამქირავებლებმა ვერ შეძლეს ქირის გადახდა და... დავკეტეთ დარბაზი. ახლა გვეკრძალება სხვა ვინმეს მივაქირაოთ ფართი. არადა, მსურველი ბევრია. საოცარი წინააღმდეგობაა: გვინდა რაღაც მოვიმოქმედოთ... მაგრამ...

— მაინც რა გაქვთ ჩაფიქრებული?

— მომავალი თაობა არ გვაპატიებს ჩავკლათ ოდეს დიდებით მოსილი ალპინისტური სკოლის ტრადიციები. გადავწყვიტეთ სათანადო პროპაგანდის საფუძველზე მოვიზიდოთ ნორჩები, ვაზიაროთ ისინი მთის სიყვარულს, ანუ შევქმნათ ნორჩ ალპინისტთა ჯგუფები, რომლებიც წლების მერე მესაზღვრე ალპინისტთა რეზერვი იქნება.

— ეს... ფასიანი იქნება, ალბათ, არა?

— ალბათ! სხვანაირად არ გამოვა... იქნება რაღაც მიზერული თანხა შემოსატანი. ეს — მანამ, სანამ სხვა წყაროს არ მოვიძიებთ კლუბის გადასარჩენად.

— თბილისის ბაზაზე აპირებთ?

— ჯერ თბილისის; მერე მთიან რეგიონებსაც გადავწვდებით. არსებობს საამისო პირობები ყაზბეგში, მესტიაში, რაჭაში, თელავში;

და, რატომ მაინცდამაინც ამ რეგიონებში: აქედან შემოდის დღეს ყოველგვარი ნარკოტიკული საშუალებანი მთელ საქართველოში! აი, ჩვენი ბავშვები, ანუ მომავალი სამთო ჯარი, უნდა აღვზარდოთ ისე, რომ შეუპოვრად დაიცვან ყველა გზაწვრილი ბარიგათა „სამოღვაწეოდ“. ვფიქრობ, ეს არ იქნება პატარა საქმე.

● ***რამდენადაც ვიცი ე.წ. სამთო-სამხედრო ალპინისტური ჯარი ჰყავდა საქართველოს...***

— ჰყავდა! ეს 1942-43 წლებში იყო. თბილისში მუშაობდა სამხედრო ალპინიზმის ინსტრუქტორთა სკოლა — ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. მანვე მოაწყო სპეციალური ასვლა ჰაუხებზე.

აღმოაჩინა და ჯაფარიძის გასამხედროებულმა ალპინისტთა ჯგუფმა მის ყველაზე მთავარ მწვერვალზე განათავსა სატრიანგულაციო ნიშანი. 1943 წელს ამის გაკეთება გმირობის ტოლფასი იყო.

მაშინ ფაშისტებს ვებრძოდით; ახლა ბარიგებთან ბრძოლაა უმთავრესი საქმე. ჩვენი სამომავლო გეგმაც ამას გულისხმობს. მჯერა აგვყვებიან ჩვენი ბიჭები — მათ ხომ სისხლში აქვთ ლტოლვა ჰეროიკულ საქმეებისაკენ. ამას წინათ, ამ საკითხზე საუბარი მქონდა ბატონ ვალერი ჩხეიძესთან... თანახმაა...

● ***ბატონო გია, კედლებს ამშვენებს გიორგი ნიკოლაძისა და ალიოშა ჯაფარიძის მშვენიერი პორტრეტები, მხატვარი?***

— პროფესიონალი მხატვარი თამაზ ბაქანიძე. ჩვენი საუკეთესო მთასვლელია იგი — წარსულში, რა თქმა უნდა. ორივე ნამუშევარი საჩუქრად გადმოგვცა.

● ***და კიდევ... შემოსასვლელ პატიოში მარმარილოს ზოდი შევნიშნე...***

— ესეც საჩუქარია. გადავწყვიტეთ მისგან გაკეთდეს ქანდაკი ექსპედიციებში დაღუპული ალპინისტების ხსოვნისათვის. გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელიც... არ შედგა!

ამასობაში მოვიდა ჩვენთან ახალგაზრდა მოქანდაკე — **გოგი წულაძე** წინადადებით — ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გაგვიკეთოს ქანდაკი. ესკიზიც გვიჩვენა. შემდგომ ეს ესკიზი წარუდგინა ქალაქის მერიის სამხატვრო საბჭოს, რომელმაც მოიწონა იგი. ახლა დაგვჭირდება მხოლოდ ჩამოსასხმელად თანხა, რომლის შემწევნად ბატონი **ვანო ზოდელავა** და ბატონი **გია შერაძე** გვეიმედებიან...



● ***ბატონო გია, უმძიმეს ვითარებაში ხართ: უსახსრობა, უგულვებელყოფა და უყურადღებობა მათ მიერ, ვისაც ეს ევალება. ნორჩი ალპინისტების გამოზრდაც შორეული პერსპექტივაა. ანუ ჩამოწვა დიდი პაუზა! ხომ არ მოელის ალპურ კლუბს ნირვანას საფრთხე?***

— ჩვენ იმ ფესვებზე ვართ ამოზრდილნი, არა გვაქვს უფლება გავქრეთ. მიუხედავად ყველა თქვენგან ჩამოთვლილისა, ჩვენ გვყანან მთამსვლელები, რომლებიც გადიან ძნელ შორეულ „დიაპაზონზე“. გვყანან, უტევენ და იპყრობენ სიმაღლეებს. ესენი არიან ბენო ქაშაკაშვილისა და გია თორთლაძის ჯგუფები.

● ***საქართველოშიც შემოაღწია კომერციული ალპინიზმის „სახეობამ“. გია ბატონო...***

... ასეც იყო მოსალოდნელი! დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური ვითარება აიძულებს ჩვენს უძლიერეს მთამსვლელთ — მიიღონ „კომერსანტთა“ წინადადებანი, რამეთუ მათ იმდენად ეძახის მთა! მათ არ შეუძლიათ არ იარონ წინ და ზევით!..

## ევერესტს უტევს „კავკასია-99“

... ეს შარშან მოხდა!

ევერესტის დაპყრობის იდეა ყველა მთამსვლელში ბორგავს; მასზე ერთეულები ადიან!

ჯგუფი „კავკასია — 99“ — რომ „გასულიყო“ დედამიწის ამ უმაღლეს მწვერვალზე, დიდი ძალისხმევა დასჭირდა ჯგუფის ხელმძღვანელს ბენო ქაშაკაშვილს, უნდა მოეზიდა ექსპედიციის დასაფინანსებელი თანხა!

ასეც მოხდა. ჯგუფი დააფინანსეს „თბილკრედიტბანკმა“, „Anglo Qil Corporation“-მა, „AUSTRIAN AIRLINES“-მა და „აზერბაიჯანის ოლიმპიურმა“ კომიტეტმა.“

... მე შევხვდი „ევერესტის“ დამპყრობი ჯგუფის წევრთაგან ბატონ ბენო ქაშაკაშვილსა და ბატონ ბიძინა გუჯაბიძეს.

... 1999 წლის 19 მარტს გაფრენილა „კავკასია 99-ის“ ჯგუფი თბილისიდან. შემადგენლობა — ბენო ქაშაკაშვილი — 35 წლის; ბიძინა გუჯაბიძე — 37 წლის, აფი გიგანი — 43 წლისა, სარიდან მურსუკალოვი — 46 წლისა და ლევ სარქისოვი... 60 წლისა!

... 1999 წლის 12 მაისს დილის 10 საათსა და 30 წუთზე ექსპედიცია „კავკასია-99“-ის წევრებმა (ბოლო მომენტში ავადმყოფობის გამო ჯგუფს გამოეთიშა სარიდან მურსუკალოვი) ფეხი დაადგეს ევერესტის მწვერვალს (8848 მ).

უსახსრობის გამო ჯგუფი წავიდა ექიმის გარეშე).

დავძენ, რომ ევერესტზე ქართველთაგან პირველმა ფეხი დადგა რომან გიუტაშვილმა (1991 წელს) და გია თორთლაძის ჯგუფმა, რომელთა შესახებაც მომავალში გიამბობთ...

**ზაირა ბილიხოძე**

**P.S.** ამ გაზაფხულზე ბენო ქაშაკაშვილის ჯგუფი — ბიძინა გუჯაბიძის, აფი გიგანისა და გელა ოთარაშვილის შემადგენლობით ისევ მიუბრუნდა ჰიმალაის და ლჰცოს (8.517 მ) ყველაზე ძნელად მისადგომი მწვერვალი დაიპყრეს...

მსოფლიოს რიგით V მწვერვალს კვლავაც „უთვალთვალებენ“ ქაშაკაშვილის „ჯიქები“ — მათ ურთულესი ტრავერსით ლჰცოს მეორე, განტოტვილი მწვერვალის „მოხელთება“ დაუსახავთ მიზნად.

# რაგბი: პაპები, შვილები და შვილიშვილები...

კვირას, 2 ივლისს, თბილისში, შუამთის ქუჩაზე, ნორჩ მორაგბეთა სპორტკლუბ „ლელოს“ სტადიონზე გაიმართა სარაგბო მატჩი სახელწოდებით „მამები, შვილები და შვილიშვილები“. ასეთი ტრადიცია ოდითგან იყო ლელობურთში. მორაგბეთა ეს მატჩი კი ტრადიციის ერთგვარი გამოძახილია. ვეტერანი მორაგბეები და მათი შვილების მატჩის მოთავე საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი იყო (პრეზიდენტი ირაკლი კიზირია). ირაკლი თავად მსაჯობდა ამ შეხვედრას.

ჭიდაობის ენაზე რომ ვთქვათ, „სხვადასხვა წონით კატეგორიის“ მორკინალთა გუნდების ამ დუელში შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი – აქ დამარცხებული, უბრალოდ, არ იქნებოდა... იმავე დღეს ბებრებმა ერთმანეთშიც გაიმართეს ერთი მატჩი.



# საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში

## ქალთა რეკორდები

**სპორტული სიარული 5000 მ.**

ამ დისციპლინაში სარეკორდო შედეგი ნაჩვენებია 1984 წელს გარდაბნელ მანანა ლობჟანიძის მიერ. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იკლო ამ სახეობაში მომეცადინეთა რაოდენობამ. ამიტომაცაა, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ერთ ან უკეთეს შემთხვევაში ორ მონაწილეს თუ ვიხილავთ.

| რეკორდსმენი | | შედეგი | წელი |
|---|---|---|---|
| მანანა ლობჟანიძე | გარდაბანი „კოლმეურ.“ | 25.51,3 | 1984 |

**ამანათრბენი 4X100, 4X200, 4X400 მ.**

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ ამ დისციპლინებში მონაწილეობის სურვილი მკვეთრად დაეცა. ქვეყნის ჩემპიონატებში მონაწილეობს მხოლოდ 1-3 გუნდი.

**ამანათრბენი 4X100 მ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნ. სოლოვიოვა, თ. რაქმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე | საქ. ნაკრ. | 48.2 | 1963 |
| 2. ლ. იევლევა, გ. კონონენკო, თ. რაქმანოვა, ვ. ქუთათელაძე | თბ. ნაკრ. | 47.2 | 1966 |
| 3. მ. აფციაური, ე. გოლუტკინა, თ, შანიძე, მ. აზარაშვილი | საქ. ნაკრ. | 44.90 | 1986 |

**ამანათრბენი 4X200 მ.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლ. იევლევა, ტ. პშენიჩნაია ვ. სტრახერი, ა. ოვივიანი | საქ. ნაკრ. | 1.43,8 | 1965 |
| 2. ო. ვიქტოროვა, ტ. ბელოვა, ვ. ხრომოვა, მ. აზარაშვილი | საქ. ნაკრ. | 1.42,3 | 1979 |

გაგრძელება იქნება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №29-34, 38, 41, 42, 45, 49.



...ე-
თა-
1996
ნისლიან
ეროდ, ბრი-
აუნთებდნენ
როდესაც ფიფა
...ი — 2006-ის
ამბობენ, ინგლი-
გაინალდა, ეს არა-
შეთანხმება დაიწყო,

იხ. მე-3 გვ.

# გადამწყვეტი დღეები უიმბლდონზე

გათამაშების მთავარი ფავორიტები: ჰინგისი და დევენპორტი, სამპრასი და აგასი ჯერჯერობით ამტკიცებენ თავიანთ უპირატესობას დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით, თუმცა, რამდენიმე წამყვანი ჩოგბურთელი, ექსპერტების აზრით, მეტ-ნაკლებად დამსახურებულად, მაინც გამოეთხოვა შეჯიბრებას.

ანა კურნიკოვა, რომელიც განთესილ სანდრიან ტესტიუს (საფრანგეთი) დამარცხების შემდეგ, მომდევნო წრეში წაგებისას გამოეთიშა ბრძოლას, ერთი საინტერესო ამბის „თანამონაწილე" მაინც გახდა. საქმე ის არის, რომ კორტების მზადყოფნისა და მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირად გამოყოფილმა უინფორმა, მაშინ, როცა რუსი ჩოგბურთელი ჯერ კიდევ თამაშობდა, თანამსაჯებსა და 194 ყმაწვილს, რომლებიც მოთამაშეებს ბურთს მოურბენინებენ ხოლმე, ასეთი რამ შეაგონა: „არაფერმა არ უნდა მიიპყროს ყურადღება თქვენი მოვალეობის შესრულების დროს, რუსი ჩოგბურთელის სილამაზემ და მოხდენილობამაც კი". ერთი სიტყვით, თანამსაჯები და ბურთის მიმტანი ყმაწვილები უფრო კურნიკოვას უყურებდნენ, ვიდრე თვით თამაშის პროცესს. ახლა ორგანიზატორები ამ პრობლემებისაგან განთავისუფლდნენ.

ჯერჯერობით ქალთა ტურნირში დიდი მოულოდნელობა იყო მესამე ნომრად განთესილი ცნობილი ფრანგი ოსტატის, მარი პირსის მარცხი ესპანელ მაგი სერნასთან – 6:7, 6:7. შეჯიბრება დასტოვა ორივე წამყვანმა რუსმა ჩოგბურთელმა ევგენი კაფელნიკოვმა და მარატ საფინმა. კაფელნიკოვი (5) დიდი ბრძოლის გარეშე 1:6, 6:7, 4:6 დამარცხდა შვედ თომას იუხანსონთან, ხოლო მეათე ნომრად განთესილმა საფინმა წააგო ნაკლებად ცნობილ ჩეხ მარტინ დამთან – 5:7, 6:7, 3:6.

ახლა, დადგა მეოთხედფინალების დრო.



# რას აირჩევს ჟაკ ვილნევი?

ბოლო ხანს 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონ, კანადელ პილოტ ჟაკ ვილნევის უამრავი პრობლემა გაუჩნდა, რამაც საკმაოდ გაურკვეველი სიტუაცია შეუქმნა. საქმე ისაა, რომ 1998 წლის სეზონის შემდეგ ვილნევმა დატოვა ინგლისური საჯინიბო და „ბარ"-ში („ბრიტიშ ამერიკან რეისინგ") გადაბარგდა პირველ პილოტად. მას იქ არაფერი ექნებოდა სასაყვედურო, რომ „ბარ"-ის ბოლიდები ასე უიმედოდ არასაიმედონი არ აღმოჩენილიყო. კანადელი შარშან მთელ რიგ ეტაპებში რის ვაინაჩრობით აღწევდა ფინიშამდე, ამის გამო იგი ამბობდა: „ძალიან ძნელია განიცადო ნამდვილი სიამოვნება მეთხუთმეტე რომ იქნები ფინიშზე... მთელ იმედებს სამომავლოდ „ჰონდას" ძრავაზე ვამყარებ, რომელმაც „ბარ"-ი ხელმოცარულთაგან უნდა გამოიყვანოს. 2000 წელი გადამწყვეტი უნდა იყოს ჩემთვის".

და მართლაც, წლევანდელი რბოლა ვილნევისათვის იმედიანად დაიწყო. თითქოს გუნდი უნდა გამოსულიყო „წარუმატებლობის ზონიდან". მაგრამ მოსალოდნელი წინსვლა, უკუსვლით შეიცვალა. „სეზონთშორის გუნდმა კოლოსალური სამუშაო ჩაატარა. და ეს თითქოს დაეტყო კიდეც პირველ ეტაპებზე, – თქვა ვილნევმა, – „გრან პრი კანადის" წინ, მაგრამ ბოლო ექვსი კვირაა გავჩერდით".

ამასობაში "ფორმულა – 1"-ის კულუარებში დაირხა ხმები, რომ მომავალი სეზონიდან კანადელი „მაკლარენში" აღმოჩნდება, რასაც „ვერცხლის ისრების" გუნდის შეფი არ გამორიცხავს. მით უმეტეს, უკვე ალაპარაკდნენ მიკი ჰაკინენის „სამეფო რბოლიდან" წასვლის შესახებ და როგორც მიიჩნევენ, კულტჰარდი და ვილნევი შესანიშნავი წყვილი უნდა გამოდგეს, ისინი ხომ მეგობრები არიან. ბევრი კი პირიქით ფიქრობს, სწორედ ეს იქნება „განხეთქილების ვაშლი"... ამიტომ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ კულტჰარდთან მეგობრობის გამო ვილნევი „მაკლარენში" გადავიდეს, მოსალოდნელი უფრო ისაა, რომ „ბენეტონის", ზუსტად კი „რენოს" ალმის ქვეშ დადგეს... ფლავიო ბრიატორე არ უარყოფს, რომ მსოფლიოში-97-ის ჩემპიონი მის საჯინიბოში აღმოჩნდეს და ამბობს: „ვილნევი უკეთესი მანქანის ღირსია, ვიდრე, ახლა ჰყავს და რაც შეუძლია „ბენეტონს", რომ მისცეს. თუ ასეთი მაღალი კლასის პილოტის ხელში ჩაგდება გვსურს, კარგა გვარიანი გარჯა მოგვიხდება ბოლიდის სიჩქარეზე".

## „ტოტო-ლოტო" 25-ე ტირაჟის შედეგები 1-2.07.2000.

### ლოტო 6-42

**4 12 16 29 30 41**

გათამაშებაში მონაწილეობდა 11093 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6რიცხვი | 0 x | 28 078.10 ლ. | გადადის 26-ე ტირაჟში |
| 5რიცხვი | 0 x | 208.00 ლ. | გადადის 26-ე ტირაჟში |
| 4რიცხვი | 16 x | 17.30 ლ. | |
| 3რიცხვი | 258 x | 1.80 ლ. | |

### სუპერ 7

**7 0 8 7 2 8 0**

| | | | |
|---|---|---|---|
| 7087280 | 50 000 ლარი | 280 | 50 ლარი |
| 087280 | 15 000 ლარი | 80 | 3 ლარი |
| 87280 | 5 000 ლარი | 0 | 50 თეთრი |
| 7280 | 500 ლარი | | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**XX1 211 112 2XX**

გათამაშებაში მონაწილეობდა 2315 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000,00 ლ. | გადადის 26-ე ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 435.40 ლ. | გადადის 26-ე ტირაჟში |
| 10 შედეგი | 1 x | 115.70 ლ. | |

### 26-ე ტირაჟის პროგრამა

### 8-9 ივლისი

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ინგ. | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 2. ინგ. | [illegible] | [illegible] | 50-30-20 |
| 3. ინგ. | [illegible] | [illegible] | 30-30-40 |
| 4. ინგ. | [illegible] | [illegible] | 40-40-20 |
| 5. ინგ. | [illegible] | [illegible] | 40-40-20 |
| 6. ინგ. | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |
| 7. ინგ. | [illegible] | [illegible] | 40-40-20 |
| 8. ინგ. | [illegible] | [illegible] | 60-20-20 |
| 9. რუს. | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 10. რუს. | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 11. რუს. | [illegible] | [illegible] | 50-30-20 |
| 12. რუს. | [illegible] | [illegible] | 43-30-30 |

26-ე ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გააბარეთ 7 ივლისის ჩათვლით




**4 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. „ევრო-2000, ფინალი (განმეორებით, 15.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.25), ***НТВ плюс футбол.*** საპლაჟო ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: არგენტინა – პორტუგალია (14.00), ბრაზილია – იტალია (16.45), ურუგვაი – აშშ (18.05), პერუ – ვენესუელა (22.00), „ევრო-2000"-ის საუკეთესო მატჩები (15.00, 23.15), ბრაზილიის თასი. „პალმეირასი" – „სან-პაულუ" (19.35), „ევრო-2000"-ის ჩემპიონატის შედეგები (21.20). ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე ფრანსი (2.00), ***EUROSPORT*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.00, 15.00, 21.00, 2.00), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (12.00, 18.00, 1.00), წყალბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (14.00), „ევრო-2000"-ის რჩეულები (23.00).

**5 ივლისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.25), ***НТВ плюс футбол.*** „ევრო-2000": შედეგები (13.15), საუკეთესო მატჩი (16.20, 23.00), საპლაჟო ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: პერუ-ვენესუელა (18.05, 21.50), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (19.25), ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (2.00), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.00, 13.30, 16.00, 21.00, 2.30), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (12.00, 18.00, 1.30), „ოლიმპიური თამაშები". ჟურნალი (13.00)

**6 ივლისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (1.25), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (15.00), ბრაზილიის თასის ნახევარფინალი (20.30), „ევრო-2000"-ის საუკეთესო მატჩები (15.30, 23.10), საპლაჟო ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: პორტუგალია – იაპონია (17.10) საფრანგეთი – ვენესუელა (19.45), ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე ფრანსი (2.00). ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის პირველობა (11.00, 13.30, 16.00, 21.00, 2.00), ველოსპორტი. ტურ-დე ფრანსი (12.00, 18.00, 1.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), სატვირთო მანქანების ავტორბოლა. ევროპის თასი (4.00)

# იასონ პარკაული



**50-60-იანი წლების ქართული ჭიდაობის ფალავანთა თაობას გამოაკლდა თავისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იასონ პარკაული.**

**დაიბადა 1928 წელს, მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოში.**

**ჩვენი ეროვნული ჭიდაობის მადლს ყმაწვილობიდან ეზიარა. იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი. ქართულ ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებულმა ძირითად პროფესიასთან ერთად, მწვრთნელობა გაიხადა ცხოვრების მიზნად — ასეულობით ახალგაზრდა აზიარა ქართული ჭიდაობის მადლს მშობლიური მცხეთის რაიონში თუ საგარეჯოში. ბევრგან მოეწყო მისი თაოსნობით ღია საჭიდაო არენა. ვეტერანი ფალავანი და სამაგალითო დამრიგებელი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულობდა ქართულ ჭიდაობას. მისგან არა მხოლოდ სპორტულ ილეთებს, ცხოვრების წესს სწავლობდნენ შეგირდები.**

**წავიდა ამქვეყნიდან ღვაწლმოსილი პიროვნება, ჩვენი ეროვნული საუნჯის — ქართული ჭიდაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება იასონ პარკაული, რომლის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება იმათი მეხსიერებიდან, ვინც მას ახლოს იცნობდა.**

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
ქართული ჭიდაობის ფედერაცია,
ვეტერანი მოჭიდავეები.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 6 ივლისს, 15 საათზე სოფ. საგურამოში.

**საქართველოს ხელბურთის ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე კიკაბიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა 4 ივლისს, 15 საათზე, თბილისში, კოსტავას, 76.

# მაიკ ტაისონის «კეთილი ნების» ვოიაჟი

ლონდონის ორმა საიუველირო ფირმამ შეიტანა სარჩელი მსოფლიო ექსჩემპიონ მაიკ ტაისონზე, რომლებიც მძიმე წონის მოკრივისაგან 500000 გირვანქა სტერლინგის ანაზღაურებას ითხოვენ იმ ძვირფასეულობის ასანაზღაურებლად, რომელიც იანვარში, ლონდონში ვოიაჟის დროს მან ხელს გააყოლა.

ამგვარად, მაიკს კვლავ მოუწევს სამართალდამცავების წინაშე აგოს პასუხი. ამჯერად, ლონდონის უმაღლეს სასამართლოში.

*ჩაწერეთ ფინალურ მატჩში მონაწილე საფრანგეთისა და იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდების ფეხბურთელთა გვარები*

## კროსვორდი №50 • ევრო-2000



# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

### აცხადებს მიღებას

**2000-2001 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე (ქართული და რუსული სექტორები)**

კოლეჯში მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მოქალაქენი ასაკის მიუხედავად.

სწავლების ვადა არასრული საშუალო განათლების პირთათვის 3 წელია. ხოლო საშუალო განათლების მქონეთათვის — 2 წელი.

***გამოცდები ბარდება შემდეგ საგნებში:***

სპორტის არჩეული სახეობა, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

### კოლეჯი ამზადებს მწვრთნელ-მასწავლებლებს

მისაღები გამოცდები ჩატარდება 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

დღის სწავლება უფასოა, დაუსწრებელი კი ფასიანი.

გარდა ამისა კოლეჯი აწარმოებს მიღებას ფასიანი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

***1. სამკურნალო — სარეაბილიტაციო საქმე (ექთანი — მასაჟისტი)***
***2. სპორტული ჟურნალისტიკა (კინო-ფოტორეპორტიორი)***
***3. სპორტული საქმიანობის სამართალი და ორგანიზაცია (იურისტ-მენეჯერი)***
***4. სამშველო საქმე (მაშველი, ინსტრუქტორ-მეთოდისტი)***

ამ სპეციალობებზე შემსვლელები ჩაირიცხებიან ტესტირების საფუძველზე, რომელიც ჩატარდება ასევე 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

***კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:***

ატესტატი (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (გაიცემა კოლეჯში საბუთების ჩაბარების წინ) 6 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. დაბადების მოწმობა. ან მოქალაქის პირადობის მოწმობა. წვევამდელის მიწერის მოწმობა, ან სამხედრო ბილეთი.

საბუთების მიღება იწარმოებს 20 ივნისიდან 24 ივლისის ჩათვლით დაწვრილებითი ცნობები გაიცემა მიმღები კომისიის მიერ.

მისამართი: კონსტიტუციის ქ. №6

ტელ: 95-30-06; 96-98-87.

დირექცია

**«კროსვორდი» №49-ის პასუხები:**

თარაზულად: 5 ისინდი, 6. სტარტი, 7. დროშა, 8. ავსტრალია, 9. აკუნია, 10. რაშკა, 12. ილიადი, 18. მარულა, 20. არენა, 21. გრანდი, 22. კურტანიძე, 23. მესტია, 24. ფალკაო. შვეულად: 1. მენჩიკი, 2. ტიგანა, 3. ტრიალი, 4. ინსაიდი, 10. რაპირა, 11. აკოსტა, 13. ეტიუდი, 14. ლამა, 15. სანეევი, 16. დესაი, 17. ადიდასი, 19. ანკესი, 21. გრეცკი.

### საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**

სოფ. კარდენახი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. მფc7! მუქარა 2. ლd6X.
1. ...მფd4 2. ლc5+მფ:c5 3. მb3X.
1. ...მფf4 2. ლh6+მფg4X 3. h3X.
2. ...მფe5 3. ლe3X.

რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელო" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.